სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 6 დეკემბერი 2006 №282 (2904) ფასი 50 თეთრი

საფეხურა

ვერდერმა რონალდინიო ვერა და ვერ წარმოიდგინა



AFP

ვინჩენცო იაკინტა

ფუი ეშმაკს! იტალიაში ყველაფერი გაყიდულია?

იატაკქვეშა ნიძლავები — ასეთია თემა გამოძიებისა, რომელსაც ქალაქ უდინეს პროკურატურა სადაცაა, დაასრულებს. საქმე ეხება ფეხბურთელების მიერ 1998-2005 წლებში დადებულ ნიძლავებს, რომელთა ჯამური თანხა 10 მილიონ ევროს აღწევს. საგანგებო ეჭვქვეშ მოექცა ოთხი კონკრეტული მატჩი „რეჯინა“ — „ბოლონია“ (2005 წლის 8 მაისი), „ასკოლი“ — „კალიარი“, „პარმა“ — „სიენა“ და „უდინეზე“ — „კიევო“ (2006 წლის 22 აპრილი). ცნობილი გახდა იმ 21 მოქმედი თუ ვეტერანი ფეხბურთელის ვინაობაც, რომელთაც, სავარაუდოდ, სასამართლოსთან მოუწევთ საქმის დაჭერა. მათგან ყველაზე პოპულარულები არიან დი მიკელე (პალერმო), ფრეზი (ინტერი), იაკინტა (უდინეზე), იანკულოვსკი და კალაჩი (ორივე მილანი). ბუნებრივია, ოცდაერთივე ფეხბურთელმა ბრალდება უარჰყო. მოგეხსენებათ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წესებით, ფეხბურთელებს ნიძლავებში მონაწილეობა ეკრძალებათ. ამბობენ, რომ თუ რომელიმეს დანაშაული დაუმტკიცდება, სულ მცირე, ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. საქმეს პროკურატურის მთავარი გამომძიებელი ფრანჩესკო სავერიო ბორელი იძიებს.

სამაისო საქართველო

შეგრძნება ტოპის შეცვლის ქართველების ძლიტა

შოტლანდია, პორტუგალია, თურქეთი:

გუშინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში მალტა 3:0 დაამარცხა, ამ მოგებამდე კი იმ მეტოქეთა ვინაობა შეიტყო, რომელთაც გაისად გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ელიტ-რაუნდში შეხვდება. შოტლანდია, პორტუგალია და თურქეთი — ასეთია ჰაინც ტოპმიოლერის შეგირდთა მეტოქე-სამეული. „ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეები გვერგო“ — ეს თქვა ჰერ ჰაინცმა მალტასთან ნამატჩევს... აქვე იმასაც გეტყვით, რომ ელიტ-რაუნდს, რომელიც 23-28 მაისს გაიმართება, შოტლანდია უმასპინძლებს.

გაფრი ჯეიმლაძის ფოტო

მალტა 0:3 საქართველო

0:1 წინამძღვრიშვილი (56), 0:2 გოცირიძე (62), 0:3 მჭედლიძე (70)

საქართველო: თევდორაძე, თომაშვილი, ელბაქიძე (თოთაძე 65), გვაძაბია, განუგრავა (ნიკოლაიშვილი 46), ბჟალავა (დაუშვილი 86), მჭედლიშვილი (ბენაშვილი 70), თარგამაძე (ნ. კვასხვაძე 78), წინამძღვრიშვილი, გოცირიძე, მჭედლიძე

მწვრთნელი: ჰაინც ტოპმიოლერი

ბადრი კეთილაძის ფოტო

მალტა კარგია. სხვები?

საქართველომ ელიტა კუნძულზე შეიტყო

გუშინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი გამართა მალტელ თანატოლებთან და 3:0 იმარჯვა.

მატჩი ჰაინც ტოპმიოლერის შეგირდების უპირატესობით წარიმართა, თუმცა ჩვენებმა პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერ მოახერხეს, შესვენების შემდეგ კი რატი წინამძღვრიშვილმა, ბექა გოცირიძემ და 19-წლამდელთა ნაკრების დებიუტანტმა, 16 წლის ლევან მჭედლიძემ სამი უპასუხო ბურთი შეაგდეს.

„ჩემი გუნდის თამაშით და, განსაკუთრებით, ანგარიშით ძალიან კმაყოფილი ვარ. თუმცა ასეთი ანგარიშის მიუხედავად, აშკარაა, რომ ბევრი სამუშაო გვაქვს. ელიტ-რაუნდში ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეები შეგვხვდნენ და სასურველია, რაც შეიძლება, მეტი ამხანაგური მატჩი გავმართოთ“ — განაცხადა ნამატჩევს ჰაინც ტოპმიოლერმა.

გუშინვე უეფამ ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდის წილისყრა მოაწყო და საქართველოს 19-წლამდელთა საგაისო მეტოქეებიც გაირკვნენ: მეოთხე ჯგუფში ჩვენები შოტლანდიას, პორტუგალიას და თურქეთს ეთამაშებიან.

შეიძლება ითქვას, საქართველო სერიოზულ ჯგუფში მოხვდა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ნაკრები წილისყრისას ბოლო, მეოთხე კალათაში იყო და სუსტ მეტოქეს არავინ ელოდა.

გადაწყვეტილია ისიც, რომ ელიტ-რაუნდს შოტლანდია უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების კალენდარი კი ასეთია: 23 მაისს პორტუგალია, 25 მაისს შოტლანდია და 28 მაისს თურქეთი.

წილისყრამ, რომელსაც უეფას ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგმა, ახალგაზრდული და სამოყვარულო ფეხბურთის კომიტეტის თავკაცი ჯიმ ბოისი და წინა ჩემპიონატის სამართლიან მოთამაშედ აღიარებული ესპანელი ხერარდ პიკე გაუძღვნენ, სულ შვიდი ოთხგუნდა ჯგუფი შექმნა, საიდანაც მხოლოდ პირველადგილოსანი გადის ფინალურ ეტაპზე.

კახა ზალამგერიძე

აქვე სხვა ჯგუფებიც...

პირველი ჯგუფი
უნგრეთი, ირლანდია, გერმანია, ბულგარეთი

მეორე ჯგუფი
იტალია, ხორვატია, შვედეთი, საბერძნეთი

მესამე ჯგუფი
ინგლისი, ჩეხეთი, რუსეთი, ჰოლანდია

მეხუთე ჯგუფი
ესპანეთი, ნორვეგია, ისლანდია, აზერბაიჯანი

მეექვსე ჯგუფი
ისრაელი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი

მეშვიდე ჯგუფი
რუმინეთი, სერბეთი, შვეიცარია, დანია

ვისი ცხრილი ცხრილობს

კიდევ კარგი, რომ საქართველოს ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ერთი წრე მიილია და 13 ტური კიდევ წინ არის. ახლა რომ სეზონის ბოლო იყოს, აურზაური მაშინ გენახათ...

საქმე კი ისაა, რომ ვინ რომელ ადგილზეა გათამაშების ცხრილში, კაცისშვილი ვერ გაიგებს.

აბა, ვნახოთ...

ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს, რომ ცხრილის თავში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

ოლიმპი	13	10	2	1	32:5	32
ამერი	13	9	3	1	28:8	30
ზესტაფონი	13	9	3	1	22:3	30
ვიტ ჯორჯია	13	9	3	1	30:16	30

ახლა ვნახოთ, პირველი ოთხი გუნდი როგორი თანმიმდევრობით ჰყავს დალაგებული პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალურ ვებგვერდს:

ოლიმპი	13	10	2	1	32:5	32
ვიტ ჯორჯია	13	9	3	1	30:16	30
ამერი	13	9	3	1	28:8	30
ზესტაფონი	13	9	3	1	22:3	30

განსხვავება არა მხოლოდ აშკარა, მეტად პრინციპულიც გახლავთ, რაკი გაუგებარია, რომელი გუნდია უეფას თასზე გამსვლელ ადგილზე, რომელი საინტერტოტო მესამეზე და რომელი რჩება ევროთასს მიღმა.

იმასაც შენიშნავდით, რომ პრობლემას სამ თანაბარქულიან გუნდს შორის ადგილების გადანაწილება ქმნის. დებულების მიხედვით, აქ უპირატესობა მეტი მოგების მქონეს უნდა ჰქონდეს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში „ამერს“, „ვიტ ჯორჯიას“ და „ზესტაფონს“ ეს მაჩვენებელიც თანაბარი აქვთ. იმავ დებულებით კი, მომდევნო კრიტერიუმი ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებელია.

ამ მაჩვენებლით სწორი პროფლიგის შედგენილი ცხრილი გამოდის, რადგან „ვიტ ჯორჯიამ“ „ამერსაც“ მოუგო და „ზესტაფონსაც“. ოღონდ დებულებაში არაფერი წერია, ურთიერთშეხვედრები პირველივე წრეში ითვლება თუ მას მერე, რაც გუნდები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ანუ მაშინ, როცა თანაბარ პირობებში იქნებიან. თუ ურთიერთშეხვედრები სეზონის ბოლოს ითვლება, მაშინ სწორი ფედერაციის ცხრილი გამოდის, სადაც თანაბარქულიანები ბურთების უკეთესი შეფარდებით არიან დალაგებულნი.

ასეა თუ ისე, იმედი გვაქვს, ფედერაციის და პროფლიგის ვებგვერდებზე ხვალ რომ შევალთ, ორივეგან ერთნაირი ცხრილი დაგვხვდება.

ტოპმიოლერი აღფრთოვანებული არ არის

ლათინოპროექტები ლათინოსერიალივით გაიწელა

კარგა ხანია, გამოჩნდა პერსპექტივა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები გაისად ამხანაგური მატჩისთვის ან არგენტინის ნაკრებს ისტუმრებს ან ბრაზილიისას. დაიწყო მოლაპარაკებებიც და, თუ რა სტადიაზეა ეს პროცესი, ამის გასარკვევად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს მივმართეთ...

ბადრი კეთილაძის ფოტო

— პირველ რიგში ის უნდა ვთქვა, რომ ბრაზილიის თუ არგენტინის ნაკრების თბილისში შესაძლო სტუმრობაზე დიდი აჟიოტაჟი რომ არის ატეხილი, ამას არ მივესალმები — სანამ საბოლოოდ არ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი, აჟიოტაჟს აზრი არ აქვს. ფიფას ვებგვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ 12 სექტემბერს არგენტინას ვეთამაშებით — ასეთი ცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ გაუვრცელებია. ჯერჯერობით მიმდინარეობს მოლაპარაკება როგორც არგენტინულ, ისე ბრაზილიურ მხარესთან.

— ფაქტია, რომ მოლაპარაკებები გაიწელა — რა არის ამის მიზეზი?

— ფინანსურად ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ. ბრაზილიელებმა და არგენტინელებმა უკვე დაგვისახელეს ის თანხა, რაც თბილისში შესაძლო თამაშისთვის უნდა გადავუხადოთ, ჩვენ კი მათ ნაკლები თანხა შევთავაზეთ. მოლაპარაკებები მიმდინარეობს თარიღზეც. არგენტინის ნაკრები 22 აგვისტოს ნორვეგიასთან თამაშობს და ხელს აძლევს, რომ ჩვენ 12 სექტემბერს გვეთამაშოს. მაგრამ ხელს აძლევს კი ეს თარიღი ჩვენი ნაკრების მწვრთნელს? კლაუს ტოპმიოლერს ამ თარიღით აღფრთოვანება არ გამოუხატავს — 8 სექტემბერს ხომ შესარჩევ ეტაპზე უკრაინას ვეთამაშებით. რაც შეეხება ბრაზილიას, მიდის მოლაპარაკებები, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს 22 აგვისტოს ვეთამაშოთ.

— ბრაზილიური მხარე უფრო მეტ თანხას ითხოვს?

— ბრაზილელებიც და არგენტინელებიც დაახლოებით ერთნაირ თანხას ითხოვენ. თანხის ამოღების მხრივ კი თბილისში ბრაზილიის ჩამოსვლა უფრო რეალურია, რადგან ბრაზილიის ნაკრების მიმართ ინტერესი ალბათ უფრო დიდი იქნება. მოლაპარაკებებში ჩაბმულია ჩვენი პარტნიორი „ინფრონტიც“, რომელიც საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩების ტელეტრანსლაციების უფლებებს ფლობს. „ინფრონტი“ ახლა იმას იკვლევს, რამდენად მომგებიანი იქნება მისთვის არგენტინული თუ ბრაზილიური ვარიანტი. ვფიქრობ, „ინფრონტი“ ბრაზილიის თბილისში თამაშისთვის უფრო მეტი თანხის გამღებია.

— 15 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ურუგვაის რომ უმასპინძლა, ეს პროექტი როგორი გამოდგა ფინანსური თვალსაზრისით?

— სამწუხაროდ, ურუგვაის სტუმრობა ფინანსურად წამგებიანი გამოდგა, ზარალმა დაახლოებით ასი ათასი ლარი შეადგინა. ვიცოდით, რომ ურუგვაისთან მატჩზე სტადიონზე ძალიან ბევრი მაყურებელი არ მოვიდოდა, მაგრამ გვეგონა, დასწრება 5-10 ათასით მეტი იქნებოდა. წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი, ურუგვაისთან მატჩი ჩვენი ნაკრებისთვის ძალიან კარგი იყო — ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით მოვუგეთ ძლიერ მოწინააღმდეგეს, რომელმაც თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა. ჩვენმა ფეხბუროელებმა ურუგვაისთან თამაშით ახალი გამოცდილება მიიღეს. ახლა კი, თუ ბრაზილია ან არგენტინა გვესტუმრება, ურუგვაიზე მეტი თანხა იქნება გადასახდელი და მეტი გარანტიაც გვინდა, რომ ფინანსურ ზარალში არ დავრჩეთ და თუ ზარალს მაინც ვერ ავცდებით, ის მინიმალური უნდა იყოს.

— ბრაზილიის ან არგენტინის სტუმრობის შემთხვევაში, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ზარალი რამდენიმე ათეულ ათას ლარზე მეტი არ იქნება, მაინც განხორციელდება ეს პროექტი?

— ათეულ ათასობით ზარალის შემთხვევაში ასეთი პროექტის განხორციელებას გავრისკავთ, რადგან ეს საქართველოს ნაკრებსაც წაადგება და ჩვენი გულშემატკივრისთვისაც კარგი იქნება. თუ ბრაზილიის ან არგენტინის ნაკრები თბილისში ჩამოვა, მხოლოდ უძლიერესი შემადგენლობებით.

— დაახლოებით როდის დასრულდება მოლაპარაკება არგენტინულ და ბრაზილიურ მხარესთან?

— ვფიქრობ, დეკემბრის ბოლომდე არაფერი გადაწყდება, შესაძლოა, მოლაპარაკებები ახალ წლამდეც არ დასრულდეს.

დავით თავართქილაძე

გადაწყდა: ლევანი ლევანტეში



ლევან ყენიას „ლევანტეში“ გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია. როგორც თბილისის „ლოკომოტივის“ გენერალურმა დირექტორმა დიმიტრი ობოლაძემ გვაცნობა, კლუბებმა უკვე მოილაპარაკეს, ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა და შეთანხმებაც მიღწეულია.

„დარჩა მხოლოდ ფორმალობები, კონტრაქტის რაღაც დეტალები. რადგან ყენია არასრულწლოვანია, ამიტომ ესპანეთში მისი მშობლების ჩასვლა გახდება საჭირო. როდის გაფორმდება ლევანთან კონტრაქტი, ზუსტად ვერ გეტყვით. ის ახლა 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად მალტაზეა და იქიდან რომ ჩამოვა, ალბათ, მალევე წავა ესპანეთში“ — გვითხრა ობოლაძემ.

„ლოკომოტივზეც“ ვთქვათ: სავარაუდოდ, გუნდი მეორე წრეში სახეშეცვლილი შემადგენლობით ითამაშებს. გუნდში რამდენიმე ახალწვეულს ელიან, უფრო დეტალურად კი ამ ამბებს 7 დეკემბერს შევიტყობთ — ამ დღეს „ლოკომოტივი“ „დინამოს“ შეხვდება ამხანაგურად, მატჩი დიღმის ბაზაზე გაიმართება.

ილია ნანოგაშვილი

ფინკემ თარგამაძე დაიბარა

35-ე სპოლის აღზრდილი 17 წლის შუახაზელი დავით თარგამაძე, ვინც ახლა „დინამო თბილისის“ აკადემიაშია, ნაახალწლევს მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგმა“ დაიბარა — ფოლკერ ფინკეს გუნდს თარგამაძესთან კონტრაქტის გაფორმება სურს.

ძმებ არველაძეების მიერ შექმნილი „საქართველოში ფეხბურთის განვითარების ფონდის“ დახმარებით თარგამაძე დაახლოებით ერთი თვის წინ გასინჯვაზე იყო „ფრაიბურგში“ და მწვრთნელის მოწონებაც დაიმსახურა — ფინკეს სურს, რომ ალექსანდრე იაშვილის და ოთარ ხიზანეიშვილს გვერდით კიდევ ერთმა ქართველმა ითამაშოს.

წლეულს „ფრაიბურგსა“ და თარგამაძეს შორის კონტრაქტის გაფორმება იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ფეხბურთელი არასრულწლოვანია და პროფესიონალურ ხელშეკრულებას ხელს ვერ მოაწერს.

თარგამაძე ვერც იანვარში გააფორმებს კონტრაქტს, უბრალოდ, „ფრაიბურგში“ ივარჯიშებს და მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ შეეძლება კლუბთან ხელშეკრულების დადება. ამ ტრანსფერს ისიც აადვილებს, რომ ფეხბურთელი თავისუფალი აგენტია.

თარგამაძე ახლა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებშია მალტურ შეკრებაზე.

დავით თაგვართქილაძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

სმიტს ტოპთან ჯახამდე ტოპ-სკოტობა არგუნეს



შოტლანდიის ნაკრების თავკაც უოლტერ სმიტს დიდი პატივი არგუნეს — „ტოპ სკოტი“, ანუ „წლის შოტლანდიელი“ გახდა. ეს იყო გამოკითხვა, რომელიც „სკოტლანდ ავარდსის“ თაოსნობით მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. უოლტერ სმიტმა გამოკითხვაში ცნობილ ბიზნესმენებს, მუსიკოსებს, კინოსა და თეატრის ვარსკვლავებს აჯობა.

ედინბურგის „პრესტონფილდ ჰაუზში“ მოწყობილი დაჯილდოების შემდეგ სმიტმა განაცხადა: „საერთოდ, ასეთ გამოკითხვებში სპორტში მომუშავე პროვინციები იშვიათად იმარჯვებენ. მეამაყება, რომ შოტლანდია ასეთ ადამიანებს ჩვენს გამარჯვებებს, მართლაც კარგი ნაკრები მყავს“.

შეგახსენებთ, სმიტის ნაკრებს ევროშესარჩევი ჯგუფის ოთხ მატჩში 9 ქულა აქვს, უახლოესი შეხვედრა კი მარტში საქართველოს ნაკრებთან აქვს გლაზგოში. მანამდე, 7 თებერვალს შოტლანდია მეორე შემადგენლობით შეხვდება ფაროელთა ეროვნულ გუნდს — ეს მატჩი კილმარნოკში გაიმართება. სმიტი ამბობს, მეორე შემადგენლობით ამასწინანდაც ვეთამაშეთ ჩრდილოეთ ირლანდიას, რამდენიმე ფეხბურთელი უკვე მთავარ ნაკრებში იმსახურებს ადგილს და დიდი შანსია, ისინი 24 მარტს საქართველოსთანაც გამოჩნდნენო.

ილია ნანოგაშვილი

www.pfl.ge

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

ჯგუფური ეტაპი. მეექვსე ტური

გლდანში პენალტმა არ იპენალტა

მეოთხედფინალში ამ ერთს ველოდით: ამერს

თბილისი. 5 დეკემბერი. 14 საათი. ამერი. 400 მაყურებელი

ამერი 2:0 კახეთი

1:0 ტატანაშვილი (63), 2:0 დოლიძე (90)

ბიძინაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (3, მეკარე)

ბოლქვაძემ ვერ გაიტანა პენალტი (44, მეკარე)

ამერი	კახეთი
ამერი: ლ. ნადირაშვილი, მეტონიძე (წაბრია 64), დავითნიძე, ფირანიშვილი, კედელაშვილი, დოლიძე, დეკანოსიძე, ბოლქვაძე (გაბისკირია 82), გ. ჯელაძე (სილაგავა 70), სევასტოპულო, ტატანაშვილი	კახეთი: ცინაძე კ. კობაიძე, კვირკველია (ა. ბურნაძე 65), მურველაშვილი (აბდულაევი 84), გერგიშვილი, ნ. დავითაშვილი, კევლიშვილი, ლომიძე, ბიძინაშვილი, იმერლიშვილი, ტეტიაშვილი
სათადარიგონი: გვენცაძე, ჩიმაკაძე, დობროვოლსკი	*სათადარიგონი:* ქუფარაშვილი, ი. კობაიძე, არჯევანიძე
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე	მწვრთნელი: ვასილ არუდაშვილი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ი. ურუშაძე, თ. ხუჭუა; ო. ხეცაძე

დამკვირვებელი: ი. ოქროშიძე; დელეგატი: ვ. ბარქაია

D ჯგუფი

ბოლნისი. 5 დეკემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი ბოლნისი 1:0 ბათუმი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ა. კოკაია, ი. უკლება; ვ. ელისაბედაშვილი
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე; დელეგატი: პ. ბურჯალიანი

A ჯგუფი							B ჯგუფი						
ზესტაფონი	6	4	1	1	14:3	13	ტორპედო	6	3	2	1	6:4	11
ამერი	6	4	1	1	11:5	13	ბორჯომი	6	2	2	2	5:9	8
კახეთი	6	2	1	3	7:10	7	ვიტ ჯორჯია	6	1	3	2	4:2	6
სპარტაკი	6	0	1	5	0:14	1	მესხეთი	6	1	3	2	4:4	6

C ჯგუფი							D ჯგუფი						
დინამო	6	4	0	2	17:7	12	სიონი	6	5	1	0	9:2	16
ჩიხურა	6	3	2	1	7:6	11	ბათუმი	6	3	2	1	11:3	11
ოლიმპი	6	2	1	3	8:9	7	მერანი	6	1	1	4	5:11	4
ნ. დინამოელი	6	1	1	4	5:15	3	მეშაქრე	6	1	0	5	3:12	3

მეოთხედფინალის წილისყრა გაიმართება 8 დეკემბერს

მიხეილ ჟორჟოლიანი

იმის მიუხედავად, რომ „ამერი“ შეხვედრას შესუსტებული შემადგენლობით ატარებდა, მაინც ფავორიტად ითვლებოდა. „ყვითლებმა“ ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელი ტრავმებისა თუ 19-წლამდელთა ნაკრებში გამოძახების გამო მოისაკლისეს, თუმცა „კახეთის“ ჯგუფიდან გასვლის შანსი მაინც იოტისხელა იყო, არადა...

მე-3 წუთზე გიორგი დავითნიძემ ლადო ნადირაშვილს ბურთი სუსტად დაუგორა, ლუკა ტეტიაშვილმაც იხელთა და მეკარე იძულებული გახდა, თავდამსხმელი აკრძალული ილეთით შეეჩერებინა. პენალტის დარტყმა ზაქარია ბიძინაშვილმა ითავა, მაგრამ ნადირაშვილმა ბურთის მოგერიება შეძლო და კახელთა შანსი ისევ გააბუნდოვნა.

მოგერიებული თერთმეტრიანის შემდეგ „ამერი“ დამშვიდდა, ყველაზე ნაკლები საკადრო პრობლემა გუნდს ნახევარდაცვაში ჰქონდა და ამიტომ იყო, მასპინძლებს ბურთის კონტროლი და საგოლე მომენტების შექმნა რომ არ უჭირდათ.

მე-9 წუთზე დიმიტრი ტატანაშვილმა და გიზო ჯელაძემ კედელი გაითამაშეს, ტატანაშვილმა კარში ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

მომდევნო საგოლე მომენტი 35-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც გიორგი ცინაძემ ბურთი პირდაპირ ტატანაშვილს გაარტყა, მაგრამ ამერელთა ფორვარდმა ამით ვერ ისარგებლა.

გოლის გატანა „ამერს“ პირველ ტაიმში მაინც მართებდა — ჯელაძემ საჯარიმოში მოძებნა დავით სევასტოპულო, რომელიც კობა კობაიძემ წააქცია და გიორგი ვადაჭკორიამ მეორედ მიუთითა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ, თუმც ამ შეხვედრაში პენალტს გატანა არ ეწერა — დავით ბოლქვაძის დარტყ�ცინაძემ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა დაწოლა გააძლიერეს. დასაწყისშივე ბოლქვაძემ სუსტად დაარტყა კარში. ხუთიოდ წუთში კი ჯელაძე-გრიგოლ დოლიძის კომბინაცია ძლავრი, მაგრამ ოდნავ უზუსტო გასროლილით დასრულდა.

მალე ჯელაძემ და დოლიძემ კიდევ ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს და კობაიძემ კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ბოლქვაძის ჩაწოდებულ კუთხურს დავითნიძემ ოდნავ შეუცვალა მიმართულება, ტატანაშვილმა კი შორეული ძელი ჩაკეტა და 1:0.

მეორე გოლი მატჩის ბოლო წუთზე გავიდა. კახელი მცველები საჯარიმოს მისადგომებთან შეიცდნენ, დოლიძემ კი არცთუ ძლიერად დაარტყა და 2:0.

თელაველი ზაქარია ბიძინაშვილის დარტყმა. პენალტი ვერც ამერელმა დავით ბოლქვაძემ (№27) გამოიყენა

ბაბრი კეთილაძის ფოტო

გამარჯობა და ნახვამდის

გიგიაძეს მოსკოვი და ბუქარესტი ნანახი აქვს

უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის ბომბარდირი 8 გოლით ქართველი ვასილ გიგიაძე გახდა — კრივოი როგის „კრივბასის“ კაპიტანმა გუნდის გოლების ნახევარზე მეტი გაიტანა. გიგიაძეს უკრაინელი ჟურნალისტი ესაუბრა და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ...

— შეიძლება ითქვას, უკრაინის ჩემპიონატის ვეტერანი ხართ, მაგრამ თქვენზე ბევრი რამ არ ვიცით. აი, მაგალითად, ძლივს მივაკვლიეთ ქალაქს, სადაც დაიბადეთ...

— ქუთაისში, სადაც დავიწყე კიდეც ფეხბურთის თამაში. შვიდი წლის ვიყავი, „რწმენაში“ რომ ჩავირიცხე. ქუთაისის „ტორპედოში“ კი ორი წელი ვითამაშე, მაგრამ მწვრთნელთან უთანხმოების გამო გუნდი დავტოვე და სამტრედიის „იბერიაში“ გადავედი.

— მერე კი ქართული ფეხბურთის გრანდმა თბილისის „დინამომ“ მიგიწვიათ...

— ასე იყო. მართალია, ნაკლებად ამბიციურ კლუბში ვთამაშობდი, მაგრამ მაინც შემამჩნიეს. „დინამოში“ ცნობილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა იოჰან ბოსკამპმა მიმიწვია, რომელიც მოგვიანებით საქართველოს ნაკრებსაც წვრთნიდა. ისე, „დინამოში“ დიდხანს არ გავჩერებულვარ. გადავწყვიტე, ძალა უცხოეთში მომესინჯა და წამოვედი.

— და აირჩიეთ უკრიანა...

— არც ეგრე იყო საქმე. სანამ აქ ჩამოვიდოდი, პრაქტიკულად მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელი ვიყავი. რუსული კლუბის წინადადება ძალიან პერსპექტიული და მიმზიდველი იყო. „ტორპედოში“ ორი კვირა ვივარჯიშე და, როცა კონტრაქტის გაფორმების დრო დადგა, პრობლემებიც დაიწყო. მოკლედ, ვერ შევთანხმდით და სიმფეროპოლის „ტავრიას“ მივაკითხე.

— სიმფეროპოლში 2001 წელს ძმასთან, სოსოთან ერთად ჩამოხვედით. ის გუნდში ვეღარ მოხვდა, თქვენ კი მოგვიანებით გუნდის ლიდერი და კაპიტანი გახდით...

— „ტავრიას“ მართლა კარგად შევეწყვე. ისე, სწორედ სიმფეროპოლში დამაყენეს პირველად თავდასხმაში, თორემ იქამდე გამთამაშებელი ვიყავი. აი, ასე გავხდი ბომბარდირი უკრაინაში...

— ცოტა გოლი ნამდვილად არ გაგაქვთ, მაგრამ უმეტესად სტანდარტული მდგომარეობიდან ხეირობთ — 50 გოლიდან 27 პენალტი იყო, დაახლოებით ათამდე კი საჯარიმო...

— მთავარია, გავიტანო და გუნდს მოგებაში დავეხმარო. ხოლო, როგორ გამაქვს, მნიშვნელოვანი არ არის.

— „ტავრიადან“ ისევ რუსეთში წახვედით...

— ერთი წლით წავედი ელისტის „ურალანში“. ყველაფერი იმან არია, რომ კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა, პრემიერლიგიდანაც გავარდა და მეც „ტავრიაში“ დავბრუნდი.

— სიმფეროპოლის დატოვება არ გაგიჭირდათ?

— „ტავრიაში“ ოთხი წელი ვითამაშე, კონტრაქტის გაგრძელებასაც მთავაზობდნენ, თანაც ხელსაყრელი პირობებით, მაგრამ იყო ძიხეზები, რის გამოც გუნდი უნდა გამომეცვალა.

— და ბევრი წინადადება გქონდათ?

— ოთხი, ოთხივე უკრაინული. საბოლოოდ, „კრივბასი“ ავარჩიე და კმაყოფილი ვარ.

— სეზონის წინ „კრივბასი“ კინაღამ რომ დაიშალა?

— ამან ძალიან გვანერვიულა, რამდენიმე მოთამაშემ კლუბის ძიებაც კი დაიწყო. აი, მაგალითად, მე თითქმის გადასული ვიყავი ბუქარესტის „რაპიდში“, რომელსაც მირჩა ლუჩესკუს შვილი, რაზვანი წვრთნის. ბუქარესტში ჩავედი და საღამოს კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა, მაგრამ კრივოი როგიდან დამირეკეს, ყველაფერი მოგვარდა და დაბრუნდიო. ერთდღიანი ექსკურსია გამომივიდა...

— უკვე რამდენიმე წელია, უკრაინის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე ხართ, მაგრამ საქართველოს ნაკრებში იშვიათად გიწვევენ...

— ნაკრებში სულ ექვსჯერ ვითამაშე. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ ხშირად არ მეძახიან, მაგრამ რას ვიზამ... რატომღაც ისე გამოდის, ნაკრებში ჩემ გარდა ყველას იწვევენ.

გიორგი დემეტრაძეს ესპანელი მოუსსნეს

გიორგი დემეტრაძეს ბოლო დროს დონეცკის „მეტალურგში“ თამაში აღარ უწევდა. ჯერ იყო და, ქართველი ფორვარდი ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა, მერე კი შეცვლებზეც აღარ გამოჰყავდათ. თუმცა ახალი წლიდან, ვინძლო, სიტუაცია შეიცვალოს...

საქმე ისაა, რომ „მეტალურგს“ დღე-დღეზე ახალ მწვრთნელს დაუნიშნავენ — ესპანელი ანხელ ალონსო გაათავისუფლეს.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტ დმიტრი სელიუკის თქმით, ალონსომ კარგად იმუშავა და შესაბამისი შედეგი რომ არ ჰქონდა, ეს იმის ბრალია, რომ გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე ოდენ ათი დღით ადრე ჩაიბარა.

„ახალი მწვრთნელის ვინაობას მალე გაიგებთ. ის ძალიან კარგი მწვრთნელია რანგშია და ყველა იცნობს. ესენგეს მასშტაბით ამ მწვრთნელზე კარგი შედეგები არავის ჰქონია“ — განაცხადა სელიუკმა.

ისე კი, ამასწინათ უკრაინელი ჟურნალისტი იმავ სელიუკს შეეკითხა, გიორგი დემეტრაძეს ზედმეტი წონა აწუხებსო... სელიუკმა უპასუხა, ყველაფერი ვიცი, გიორგი ახლა წონას იკლებს და მალე ძველებურად ათამაშდებაო.

ილია ნანოგაშვილი

რუბინს ქართველი დირექტორიც დაშორდა



ყაზანის „რუბინიდან“ ქართველები რიგ-რიგობით მიდიან. გიორგი ქინქლაძემ რომ გუნდი უკვე დატოვა, ადრეც გაუწყეთ, ახლა კი „რუბინს“ გენერალური დირექტორი ირაკლი გეგეჭკორიც დაშორდა, ვისაც ქინქლაძის დარად, კონტრაქტი დაუმთავრდა.

კიდევ ერთი ქართველის, თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას ამბავი კი ჯერაც გასარკვევია — მას „რუბინიდან“ წასვლა უნდოდა, თუმცა ისიც შესაძლოა, მალე კლუბთან ხელშეკრულება გააგრძელოს და დარჩეს...

კახა შალამბერიძე

ხუბუტია-კაუნასი: ისევ ერთად

ლიტველები საქართველოს ეჯიბრებიან

აკაკი ხუბუტიას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ოდენ სამჯერ უთამაშია. აქედან ერთხელ გოლის გატანა მოახერხა, ერთხელ კი გააძევეს. 20 წლის მცველი გაისიდან ლიტვის საუკეთესო გუნდ „კაუნასში“ ითამაშებს — უფრო სწორად, უბრუნდება იმ კლუბს, რომელსაც ეკუთვნის. ხუბუტიამ გასული სეზონი „ვილნიუსში“ გაატარა, სადაც 25 მატჩი ითამაშა...

— „კაუნასში“ ვბრუნდები, პირველივე შეკრებაზე გავყვები გუნდს. შარშან კაუნასელები მეუბნებოდნენ, დაცვაში გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს, შენ კი ახალგაზრდა ხარ და თამაშის საშუალებას ხშირად ვერ მოგცემთო. ახლა კი ტონი შეიცვალეს, ყველაფერი შენზეა დამოკიდებულიო.

— „კაუნასის“ მფლობელი ვლადიმირ რომანოვი თუ გესაუბრა?

— რომანოვიც და სპორტული დირექტორიც. რომ ნახეს, „ვილნიუსში“ ჩემი თამაშები და თან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამომიძახეს, ჩემი დაბრუნება გადაწყვიტეს.

— „კაუნასში“ ნუკრი მანჩხავა და გივი კვარაცხელია დაგხვდებიან...

— მანჩხავა რჩება, კვარაცხელიას კი, მგონი, წასვლა უნდოდა და ზუსტად ვერ გეტყვით...

— „კაუნასის“ ძირითადში მოხვედრა არ გაგიჭირდება?

— სხვათა შორის, „ვილნიუსში“ 20 წლის ბიჭისთვის ძირითადში მოხვედრა უძნელესი ამბავია. წარმოიდგინეთ, 15 ლეგიონერი ვიყავით (აქედან 11 ბრაზილიელი), ძირითადში კი მხოლოდ ექვსს შეეძლო თამაში. როცა საქართველო — მალტის ახალგაზრდული ნაკრების მატჩის შემდეგ „ეკრანასთან“ გვქონდა თამაში. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს, მომდევნო ორი მატჩიც კარგად ჩავატარე. მერე კი ზედიზედ ორ შეხვედრაში არ დამაყენეს... მერეღა გავიგე, თურმე „ეკრანასთან“ თამაშს პოლონური ლკს-ის სკაუტები ესწრებოდნენ და სამი ფეხბურთელი მოვწონებივართ...

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშისას მალტას გოლი გაუტანე, სერბეთთან კი ბოლო წუთზე გაგაძევეს. რალფ მინგე კმაყოფილი დარჩა შენით?

— მგონი, კმაყოფილი იყო. უბრალოდ, ნაკრების მწვრთნელებისთვის ძნელია ლიტვაში ჩემი თამაშისთვის თვალის მიდევნება.

— „კაუნასმა“ წლეულს იოლად მოიგო ჩემპიონობა და იმდენად მაღლა დგას სხვებზე, რომ გაისადაც განაღდებული აქვს ტიტული?

— განაღდებული არა, მაგრამ სხვა კლუბებს შემადგენლობით მაგრად სჯობია. სხვათა შორის, წლეულს „კაუნასმა“ პირველი თერთმეტი თამაშიდან თერთმეტივე მოიგო და პირველად სწორედ „ვილნიუსმა“ დააკარგვინა ქულები.

— ლიტვა და საქართველო ევრო შესარჩევში თანაჯგუფელები არიან. როგორი თვალით უყურებენ ლიტვაში საქართველოს ნაკრებს?

— ერთი შეხედვით, ლიტვის ნაკრები თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ შედეგი აქვს: სწორად, დალაგებულად მუშაობენ. აი, რამდენიმე თვის წინ პოლონეთის ძირითად შემადგენლობას მეორე შემადგენლობით მოუგეს სტუმრად, იტალიასთან ფრე კი თავადაც იციო. ლიტველები მეუბნებიან, რა აზრი აქვს, ჯგუფიდან ვერც ჩვენ გავალთ და ვერც თქვენ, მაგრამ ჩვენ უფრო მაღალ ადგილს დავიკავებთო. ისე კი, ქართველებს და ზოგადად ქართულ ფეხბურთს პატივს სცემენ...

ილია ნანოგაშვილი

ორი ცოლის ქმარი და თექვსმეტი შვილის მამა

მნიშვნელობა არ აქვს, რა ტიტული გაქვს, მთავარია, რას აკეთებ

შეიხ მოჰამედ ბინ ალ მაქთუმი

სანამ განვმარტავთ, რა შუაშია, იმას მოგახსენებთ, რომ არაბული გოდოლფინი ერქვა ცხენს, რომელიც ამქვეყნად 1724-1754 წლებში დაჯირითობდა. მის გარდა ცნობილია კიდევ ორი ტაიჭი, არაბული დერლი და თურქული ბიერლი. აი, ამ სამმა რაშმა ჩაუყარა საფუძველი დედამიწის სამ უძვირფასეს ჯიშსა და უდიდეს დოღ-მარულას, თუმცა ჩვენი წერილი ფეხბურთს ეხება და ამიტომ ცხენსნობაზე საუბრით არ უნდა გავერთოთ. მოკლედ გეტყვით, საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკ მე-14-ეს გოდოლფინი საჩუქრად მიართვეს და მისი შთამომავლების „ევროპოპულარობაც“ იქიდან მოდის.

ხოლო, რაც შეეხება „გოდოლფინ არაბიან ინკორპორეიტედს“, ეს გახლავთ დუბაისა და ინგლისში მოქმედი მსხვილი ფირმა, რომელსაც დუბაის დიდმჰყრობელ მაქთუმთა ოჯახი, კერძოდ კი შეიხი მოჰამედ ბინ ალ მაქთუმი ფლობს. „გოდოლფინს“ რჩეული ცხენები ზამთრობით დუბაიში ჰყავს, აპრილიდან კი ინგლისში ჩაჰყავს და მეფურადაც ასპარეზობს. ხუმრობა ხომ არ არის, მისმა რაშებმა ბოლო 10 წელიწადში 100 უმაღლესი კატეგორიის შეჯიბრება მოიგეს...

აი, ახლა კი, როდესაც შეიხი მოჰამედი და მოგება ვახსენეთ, შეგვიძლია ფეხბურთზეც გადავიდეთ: ფრთხილად, რომან აბრამოვიჩო, პრემიერლიგაში კიდევ ერთი ძალიან მდიდარი კაცი მოდის! 450 მილიონი გირვანქა — აი, თანხა, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი „ლივერპულში“ იხდის. და კიდევ, თუ აბრამოვიჩი რუსეთის რომელიღაც გუბერნიის გუბერნატორია, შეიხი მოჰამედი არაბთა გაერთიანებულ საამირობში პრემიერმინისტრად ზის.

„არაბული ნავთობი რუსული ნავთობის წინააღმდეგ“ — ასე შეაფასა „სანდი ტაიმსის“ მდიდართა საქმეების ანალიტიკოსმა ფილ ბრედფორდმა პრემიერლიგური ვითარება. იგი წერს:

„თუ მაქთუმები ფეხბურთშიც იმასვე შეძლებენ, რაც ცხენოსნობაში გააკეთეს, „ლივერპული“ პრემიერლიგის ცხრილში ძალიან ამაღლდება. მერედა, უძვირესი ფეხბურთელების ყიდვაში „ჩელსის“ დიდ კონკურენციასთან მოუწევს შეჭიდება“.

თურმე ნუ იტყვით და შეიხი მოჰამედი თავისი ფილოსოფიით ყოფილა ცნობილი. იცით, რისი თქმა ჰყვარებია?

„საუკეთესობისთვის ბრძოლას ფინიშის ხაზი არ აქვს. ბიზნესი რისკია, მაგრამ თუ ამ რისკს არ დაემალები, დიდ მოგებას მიიღებ. ჩამოვარდნის შიშით კდეზე ცოცვას არ უნდა მოერიდო. არ აქვს მნიშვნელობა რა ტიტული გაქვს, მთავარია, რას აკეთებ. ტიტულებს კი არ უნდა გამოეკიდო, არამედ მიღწევებს. დამარცხებაზე პასუხიმგებლობის სხვებისთვის აკიდება კი საკუთარისგან გაქცევას ნიშნავს“.

57 წლის შეიხი დუბაის მმართველი და ემირატების პრემიერი წლეულს, იანვარში, უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ გახდა. მას ორი ცოლი და 16 შვილი ჰყავს.

საინტერესოა, რომ თავის დროზე შეიჰ მოჰამედსა და მის ძმას აშშ-მ 30 ათასი ბავშვის დამონებაში დასდო ბრალი, რის პასუხადაც შეიხმა საამიროებში ყველა ჟოკეი ბავშვი გაათავისუფლა საქმიანობიდან.

შეიხ მოჰამედის ბიზნეს ჯგუფმა 800 მილიონ გირვანქად გართობის იმპერია „ფუსაუდზი“ შეიძინა, ხოლო აგვისტოში სასტუმროთა ქსელი „თრეველოჯი“ იყიდა 675 მილიონად. თუმცა, ჩვენი მკითხველისთვის ყველაზე ნაცნობი და შთამბეჭდავი სახელი გერმანული საავტომობილო გიგანტი „დაიმლერ-კრაისლერია“ — ახლა მის შესახებაც რომ ჩამოვაგდოთ სიტყვა, სტატიას მიმართულება შეეცვლება, თუმცა იმას მაინც გეტყვით, რომ სწორედ ამ კორპორაციისაა „კრაისლერი“, „მერსედეს ბენცი“, „დოჯი“ „ჯიპი“, „მაიბახი“ და „სმარტი“ — რომლის მთავარი მეწილე სწორედ უფალი მოჰამედის ბიზნეს ჯგუფია.

პაპუნა კედია

ლაკშმი მიტალი

ფოლადის მწარმოებელმა ინდოელმა მაგნატმა პრამოდ მიტალმა სოფიის ცსკა იყიდა. კომპანია „გლობალ სტილ ჰოლდინგზი“, რომელიც ბულგარული ფოლადის ქარხნის კრემიკოვცის აქციათა 71 პროცენტს ფლობს, პრამოდ და ვინოდ მიტალების საკუთრებაა. ეს ორნი კი ლაკშმი მიტალის უმცროსი ძმები არიან. ლაკშმი მიტალი აკონტროლებს ფოლადის მწარმოებელ უდიდეს ფირმა „მიტალ სტილს“, რომელმაც წლეულს კონკურენტი კომპანია „არკელორი“ 32 მილიონ დოლარად იყიდა.

ჯიმი, ჯიმი, აჯა, აჯა...

მიტალის წარმომადგენელმა ალექსანდრ ტომოვმა განაცხადა: „კლუბის ამჟამინდელმა მფლობელმა პრამოდ მიტალთან პრინციპულ შეთანხმებას მიაღწია, თუმც ჯერ კიდევ მოსაგვარებელია ბევრი დეტალი.“

ბულგარეთის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი კლუბი ცსკა 2000 წელს ვასილ ბოჟკოვმა იყიდა, რომელიც ქვეყანაში უმდიდრეს ადამიანად ითვლება.

ბოჟკოვმა გუნდის ფანები მაშინ გააბრაზა, როცა სერბი მწვრთნელი მიოდრაგ იეჟიჩი მოხსნა აპრილში.

„პრამოდ მიტალის მიზანი მხოლოდ კლუბის შეძენა კი არა, არამედ, მაღალ ევროპულ დონეზე მისი გაყვანაა — თქვა ტომოვმა — ცსკა ბულგარეთის 30-გზის ჩემპიონია და ერთი მილიონი ქომაგი ჰყავს. ამ გუნდის გარეშე ბულგარეთში ფეხბურთი ვერ იარსებებდა.“

ალექსანდრ ტომოვი კლუბის დირექტორი გახდება, რაკი ძველი დირექტორი სტეფან ორმანდჟიევი თანამდებობიდან წავიდა.

„მე შემიძლია, კლუბს დავეხმარო — აღნიშნა ტომოვმა — მას ახალი სისხლი სჭირდება.“

ამჟამად ცსკა ჩემპიონატში მეორე ადგილზეა 37 ქულით, პირველზე კი „ლევსკია.“

ირაკლი ნინიძე

ხომ არ ურევ, კლოს?

გრეგორიო მანსანო

„მალიორკას“ მწვრთნელი გრეგორიო მანსანო „ონო ესტადიზე“ კლოს გომესის მსაჯობით ფრიად უკმაყოფილოა. კუნძულელითა დამრიგებელი „სელტას“ გატანილ გოლს აღუშფოთებია და აცხადებს, რომ ვიგოელებმა 84-ე წუთზე ანგარიში კლოს გომესის მიერ დანიშნული არარსებული პენალტის წყალობით გაათანაბრეს. კლოს გომესის მსაჯობა პრიმერას შეხვედრებში რატომღაც სულ სტუმარი გუნდების მოგებით აღინიშნებოდა — ამ არბიტრმა საამსეზონო პრიმერადივიზიონში ხუთჯერ იმსაჯა და ხუთჯერვე სამი ქულა სტუმარმა წაიღო, სამწუხაროდ, კლოს გომესს მომგებიანი სერია ჩავუშალეთ, „ონო ესტადიზე“ „სელტამ“ ჩვენთან მარტო ფრეს მიღწევა შეძლო“ — ირონიულად თქვა მანსანომ.

დამრიგებელმა აღნიშნა, რომ მსგავსი პენალტებით ბობოლა, გრანდ გნუდებს არასოდეს სჯიან, თუმცა... „სამწუხაროდ, ჩვენ მარტო „მალიორკა“ ვართ, რაც კლოს გომესისთვის, როგორც ჩანს, დაბალი დონეა. რა გაეწყობა, თუ მსაჯმა გაგწირა, მარტო სასწაული თუ გადაგარჩენს“ — ამბობს სენიორ მანსანო. კუნძულელების თავკაცმა მერე „მალიორკას“ საკვირაო მეტოქე შეაქო და მსაჯისგან განსხვავებით, „სელტაზე“ მხოლოდ დადებითად ილაპარაკა. „სელტა“ ძლიერი მეტოქეა, ფეხბურთელებიც კარგი ჰყავს და სტუმრადაც კარგად ბურთაობს, თუმცა კვირას გამარჯვებას უთუოდ ჩვენ ვიმსახურებდით, იმ აბსურდულმა პენალტმა კი მატჩის ბედი სხვანაირად გადაწყვიტა“.

გრეგორიო მანსანო ბალესტეროსი 1955 წლის 5 აგვისტოს ესპანურ ბოლენში დაიბადა. პრიმერადივიზიონში „ვალიადოლიდის“, „რასინგის“, „რაიო ვალეკანოს“, „ატლეტიკოს“ და „მალიორკას“ მწვრთნელი გახლდათ. კუნძულელითა გუნდში მანსანო დამრიგებლად მეორედ 2006 წლის ზაფხულში მოვიდა.

ლადო ხომერიკი

თქვენ აქ რა გინდათ?

ეგერტ მაგნუსონი და ალან პერდიუ

„ვესტ ჰემის“ ახალმა თავმჯდომარემ, ისლანდიელმა ეგერტ მაგნუსონმა თქვა, რომ არასდროს მოაწერს ხელს ისეთ კონტრაქტს, როგორითაც გუნდში არგენტინელები, კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო მივიდნენ.

მაგნუსონი ოთხშაბათიდან შეუდგა მუშაობას და მალევე თქვა, რომ არგენტინელები სეზონის ბოლომდე კი დარჩებიან კლუბში, თუმცა მათი კონტრაქტები უვარგისია. ფეხბურთელები იაფად კი მოვიდნენ „ვესტ ჰემში“, მაგრამ მათი გაყიდვის უფლება კვლავაც ცნობილი კია ჯურაბჩიანის ხელშია.

„კლუბს ფეხბურთელები მთლიანად უნდა ეკუთვნოდნენ — თქვა მაგნუსონმა — რაც ამ ორი ბიჭის თაობაზე გვაქვს, არასწორია.“

მენეჯერი ალან პერდიუ ამ კვირაში უკვე შეხვედრია ჯურაბჩიანს და მასთან ფეხბურთელთა ბედზე უსაუბრია. პერდიუს ტევესის შენარჩუნებაც უნდა, თუმცა, მასკერანოს ფორმით უკმაყოფილოა. ეგებ მას ნახევარმცველის გაყიდვა კიდეც უნდოდეს, მაგრამ ფიფას წესებით, მას იანვრის ფანჯარაში ვერ გაყიდიან.

ირაკლი გამყრელიძე

ზლატან შენი სახელ, ტელევიზორში ვნახეო

ზამთრის სატრანსფერო სეზონის მოახლოებასთან ერთად, ცხადია, საფეხბურთო სამყაროში ახალი ამბები ვრცელდება. ისიც მარტივი გამოსაცნობია, რომ სერია **B**-ში მყოფი „იუვენტუსის“ წამყვან ფეხბურთელებს იანვარში მრავალი მსურველი ეყოლებათ. მათ შორის არიან — ჯანლუიჯი ბუფონი, დავიდ ტრეზეგე, მაურო კამორანეზი...

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, მილანის „ინტერს“ კამორანეზის ხელში ჩაგდება სურს და სანაცვლოდ ტურინელებს ვალტერ სამუელს სთავაზობს. იმასაც ამბობენ, „იუვეს“ სპორტული დირექტორი ალესიო სეკო შესაძლოა, ამ ტრანსფერს დათანხმდეს, თუ „ნეროაძური“ სამუელის ნაცვლად ნიკოლას ბურდისოს შესთავაზებსო.

გერმანულ „ვოლფსბურგს“ ფაბრიციო მიკოლის ყიდვა სურს, რომელიც „იუვენტუსის“ საკუთრებაა, მაგრამ ამჟამად „ბენფიკაშია“ განათხოვრებული. ტანმორჩილ ფორვარდს „ბებერ ქალბატონთან“ 2010 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ თუ „მგლების“ წინადადება სარფიანი იქნება, დიდი შანსია, „იუვე“ მას შეელიოს.

მსურველები გამოუჩნდნენ ტურინელთა ახალგაზრდა თავდამსხმელ რაფაელე პალადინოსაც. 22 წლის ფეხბურთელს თურმე პრემიერლიგაში ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან „იუვენტუსში“ დარჩენა არჩია.

„რამდენიმე წინადადება მივიღე, ერთ-ერთ ძალიან პრესტიჟული ინგლისური კლუბისგან, მაგრამ გადავწყვიტე, იტალიაში დავრჩე. ჩემი გული „იუვენტუსს“ ეკუთვნის და მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ სათამაშო დრო საერთოდ არ მეძლეოდა, წასვლაზე მაინც უარი ვთქვი. არ ვიცი, რა იქნება, როცა წამყვანი ფორვარდები გამოჯანმრთელდებიან, თუმცა მე. ყველანაირად ვეცდები, ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინო და გუნდში ადგილი დავიმკვიდრო“ — აღნიშნა პალადინომ.

ბევრი მას ზლატან იბრაჰიმოვიჩს ადარებს და, როგორც ირკვევა, თავად პალადინოც „იუვენტუსიდან“ წასულ შვედ ფორვარდს ბაძავს: „ხალხი ამბობს, რომ მის დარად ვთამაშობ. ძალიან ვწუხვარ, რომ ზლატანი წავიდა, რადგან მის გვერდით თამაში ბრწყინვალე იქნებოდა. თუმცა იბრაჰიმოვიჩის თამაშების ვიდეოჩანაწერები მაქვს. ვცდილობ, მისგან ბევრი ვისწავლო და ხალხს სიამოვნება მივანიჭო.“

სასურველი ფეხბურთელები, ცხადია, თავად „იუვენტუსსაც“ ჰყავს. ერთ-ერთი მათგანი გერმანიის ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის“ ფორვარდი მიროსლავ კლოზეა, თუმცა „მუსიკოსთა“ გენერალურმა მენეჯერმა კლაუს ალოფსმა აღნიშნა, რომ კლუბი პოლონური წარმოშობის ფორვარდის შენარჩუნებას აპირებს და მალე მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკებას დაიწყებს.

კარგი ამბავი კი ტურინელთათვის ის არის, რომ ვარჯიში დაიწყო მარსელო ზალაიეტამ, თუმცა ალესანდრო დელ პიერო , დავიდ ტრეზეგე, კრისტიანო ძანეტი, ჯულიანო ჯანიკედა და მარკო მარკიონი „იუვენტუსის“ ლაზარეთში რჩებიან.

გიორგი კაკაბაძე

ბელგიური „ლოკერენის“ მწვრთნელად სლავოლიუბ მუსლინი დანიშნეს და ორწლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მუსლინი მოსკოვის „ლოკომოტივს“ თავკაცობდა, მაგრამ ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი თვით ადრე გაათავისუფლეს. სერბს ბელგიურ კლუბში ადრეც უმუშავია, 2005 წლის ივლისიდან დეკემბრამდე თავკაცობდა „ლოკერენს“. გუნდი ამჟამად მე-13 ადგილზეა.

ინგლისის ჩემპიონატის (მეორე დივიზიონი) აუტსაიდერმა „ჰალიმ“ მწვრთნელი ფილ პარკინსონი მოხსნა. კლუბის შეფმა ადამ პირსონმა გადაწყვეტილება გასულ შაბათს, „საუთჰემპტონთან“ შინ საშინაო მარცხის (2:4) შემდეგ მიიღო. პარკინსონი ამ სეზონში, ივნისში დანიშნეს მწვრთნელად, მაგრამ 21 მატჩში მხოლოდ ოთხი მოიგო. „ჰალის“ დროებით კოლინ მერფი და ფილ ბროუნი უთავკაცებენ.

ბრაზილიური „კრუზეიროს“ მწვრთნელ ოსვალდო დე ოლივეირას კონტრაქტს აღარ გაუხანგრძლივებენ და მის შემცვლელს მონახავენ. მას შემდეგ, რაც დე ოლივეირამ გუნდი ჩაიბარა, ექვსი თამაში მოიგო, ექვსი ფრედ დაასრულა და ათი წააგო. საბოლოოდ მე-10 ადგილზე გავიდა. „ეფიქრობ, ჩემი გაშვება უსამართლობაა, მაგრამ რას იზამ, ეს ფეხბურთია“ — თქვა მოხსნილმა.

ჰოლანდიურმა „ალკმაარმა“ სეზონის ბოლომდე მეკარე რონალდ ვატერეუსი დიმატა. ლუის ვან გაალის გუნდს ძირითადი გოლკიპერი ჯო დიდულიცა დაუშავდა, რომელიც სეზონის ბოლომდე ველარ დაეხმარება „ალკმაარს“. მისი შემცვლელი ჰალიდ სინუჰაც ტრავმირებულია.

ესპანური „ბილბაოს“ ნახევარმცველი პაბლო ორბაისი ნახევარი წლით გამოაკლდა გუნდს. ბასკი ფეხბურთელი მადრიდის „რეალთან“ მატჩში დაშავდა — მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და გუნდს კარგა ხანს ვერ ეარ დაეხმარება.

ფრანგული „ლილის“ მეკარე ტონი სილვა „ნანსისთან“ შეხვედრაში დაშავდა და „მილანთან“ დღევანდელ მატჩს გამოტოვებს. სილვა „ნანსისთან“ თამაშის მეთექვსმეტე წუთზე შეცვალეს, რადგან მარცხენა ხელის შუა თითი მოიტეხა.

გერმანული „ჰამბურგის“ კაპიტანი რაფაელ ვან დერ ვაარტი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რადგან „ბოხუმთან“ შეხვედრაში ტომი ბეკმანს უკნიდან ფეხი გამოუსვა. ისედაც გასაცოდავებული „ჰამბურგისთვის“ ეს დიდი დანაკლისი იქნება.

ფისო, ფისო!

რამონ კალდერონი კნუტებს ეთამაშება

„კაკა მადრიდის „რეალში“? არ არსებობს. ბერლუსკონი და გალიანი ჭკუაზე რომ შეცდნენ, ბრაზილიელს ესპანეთში მაინც არ გაუშვებენ“ — განუცხადა მსოფლიო ფეხბურთის სატრანსფერო ხლართებში გარკვეულმა აგენტმა ერნესტო ბრონძეტიმ ერთ-ერთ იტალიურ ტელეარხს. ბრონძეტიმ ასევე თქვა, რომ ასეთივე „წარმატებით“ შეიძლება კაკა რომელიმე ინგლისურ გუნდშიც გააგზავნონ. „რატომ მაინცდამაინც მადრიდი და არა, მაგალითად, ინგლისი? კაკა მადრიდის „რეალში“ ისევე ვერ მოხვდება, როგორც თამაშს ინგლისის პრემიერლიგაში არ დაიწყებს... „რეალის“ პრეზიდენტი კალდერონი არჩევნებისას გულშემატკივრებს დაპირდა, სესკ ფაბრეგასს და არიენ რობენს მოვიყვანო. აბა, შეხედეთ, ამ დაპირებებიდან რომელია შესრულებული? კალდერონი თავის ხალხს პატარა კატის კნუტივით ეთამაშება.“

ბრონძეტიმ „ვალენსიას“ იტალიელის, ტავანოს სერია **A**-ში დაბრუნებაც გამორიცხა. „ჯერ „ვალენსიაში“ რა მოხდება, არავინ იცის. ტავანო კლუბის სპორტული დირექტორის ამადეო კარბონის ფავორიტია, კარბონი კი უახლოეს ხანში შეიძლება მწვრთნელიც გახდეს. კიკე ფლორესსა და ამადეოს შორის დაპირისპირებაა, გუნდის თავკაცობა და ფეხბურთელები კი იტალიელის მხარეს არიან. „ვალენსიას“ მიერ წაგებული ორი მატჩიც და მესტალიაზე დიდი ცვლილებები მოხდება — თქვა ბრონძეტიმ ტელევიზიასთან, რომელიც, სხვათა შორის, სილვიო ბერლუსკონის საკუთრება გახლავთ.

აგენტის აზრით, „რეალის“ ალბიონელი ვარსკვლავი დევიდ ბექემი სათამაშოდ იტალიაში გადაბარგდება. „ვიცი, რომ ბექემი საბოლოოდ იტალიურ სერია **A**-ს მიაკითხავს. რომელ კლუბში ვერ გეტყვით, მაგრამ ბექემის იტალიურ მომავალში დარწმუნებული ვარ“ — აღნიშნა ბრონძეტიმ ალბიონელზე, რომელსაც „რეალთან“ კონტრაქტი 2007 წლის 30 ივნისს უმთავრდება. ბექემი ხელშეკრულების მიხედვით სეზონში 6 მილიონ ევროს იღებს, მაგრამ, აპენინელი აგენტის თქმით, მავანი იტალიური გრანდისთვის დევიდის გადაბირება და შენახვა ძნელი საქმე არ იქნება.

სატელევიზიო ინტერვიუში ბრონძეტიმ ისიც გაამხილა, რომ ზაფხულში თანაქალაქელი და ერთმანეთს საუკუნოდ გადაკიდებული „მილანი“ და „ინტერი“ რეალელი რონალდოს ყიდვას აპირებდნენ: „მადრიდელები „მილანთან“ რონალდოს თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, „ინტერნაციონალე“ კი მზად იყო, რონის სანაცვლოდ ადრიანო გაემეტებინა. თუმცა გარკვეული ფინანსური უთანხმოების გამო ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოხერხდა.“ საუბრის დროს კასანოც ახსენეს. ერნესტო ბრონძეტი ანტონიოს სამშობლოში დაბრუნების ამბავს ეჭვის თვალით უყურებს: „იანვრის სატრანსფერო ბაზარზე კასანო „რეალიდან“ რომელიმე იტალიურ გუნდში არ გადავა. დღეს სერია **A**-ში არც ერთი კლუბი არ არის, კასანოს შეძენას რომ მოისურვებდეს. იტალიაში კასანოს სეზონში 4 მილიონ ევროს არავინ გადაუხდის.“

აპენინელის ინტერვიუში არც ბარსელონელი რონალდინიოს და „მილანის“ სატრანსფერო მიჯნურობის ამბავი დავიწყებია. „ამ ტრანსფერის არ მჯერა. რონალდინიოს „ბარსელონა“ არ გაუშვებს და არც ბრაზილიელს უნდა „კამპ ნოუს“ მიტოვება“ — დაასკვნა ბრონძეტიმ.

ლადო ხომერიკი

ღორი ვარ!

ბოლოს და ბოლოს, არსენ ვენგერი და ტიერი ანრი ერთმანეთს შეხვდნენ და ანრის მდგომარეობა განიხილეს.

ანრის კისრის და კიდევ რაღაცრაღაცების ტრავმების გარდა, მედია ანრის უკმაყოფილებასაც ეჭვობდა. ლაპარაკის შემდეგ კი გამორკვა, რომ „არსენალის“ კაპიტანი მთელ თვეს დაისვენებს, ყველაფერს მოიშუშებს და იანვრის დასწყისში „ლივერპულთან“ სათასო თამაშისას დაუბრუნდება გუნდს.

ამასობაში კი გაზეთებმა ხმა დაყარეს, ანრის მეთოფეთა რიგებში ყოფნა აღარ უნდა და „ბარსელონა“ ხელახლა იწყებს ბრძოლას მის გადასაბირებლადო.

ანრის უხასიათობის მიზეზი ისიც ყოფილა, რომ თავის სანაკრებო თანაგუნდელებს ულანძღიათ. ამ მოთამაშეთა ვინაობა პრესაში არ სახელდება, მაგრამ ასე ამბობენ, ნაკრების ძველი და ახალი მოთამაშენი. ამ ფეხბურთელებს უთქვამთ, ანრი კრიტიკას ვერ იტანსო და თავი სულ მართალი ჰგონიაო.

მეთოფეთა კაპიტანმა ამაზე ერთგვარი დაცინვით ილაპარაკა: „ჰო, ალბათ ღორი ვარ! ეს სიმართლეა. ზოგჯერ მტყუანი ვარ, მაგრამ თავი მაინც მართალი მგონია... ოჰ, რა სიმამაცეა, როცა შენს ვინაობას არ ასახელებ და ისე ლაპარაკობ!“

სატრავმო შვებულება ანრის დამშვიდებაშიც დაეხმარება. რაც შეეხება სადმე გადასვლას, ანრიმ კიდევ ერთხელ თქვა: „არსენალი“ ჩემი ცხოვრებაა. ბარსელონაში არ წავალ. სამ თვეს ტრავმით ვთამაშობდი და ტკივილმა დამღალა. ახლა დავისვენებ და ვიმკურნალებ“.

ირაკლი გამყრელიძე

საუკეთესო ამერიკელი

მატიას ფერნანდესი

ჩილეს „კოლო კოლოს“ ახალგაზრდა ნახევარმცველი მატიას ფერნანდესი, რომელიც უახლოეს ხანში „ვილიარეალის“ ფეხბურთელი გახდება, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა გამოკითხვის მიხედვით, ამერიკის საუკეთესო მობურთალად დასახელდა. მატიას ფერნანდესმა გამოკითხვაში „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველს და მომავალ რეალელ ფერნანდო გაგოს და ბოკელ როდრიგო პალასიოს აჯობა. ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელობაზე ჯილდოს არგენტინული სპორტული გამოცემა „ლა ტერსერა“ გადასცემს. ფერნანდესი კი „ვილიარეალში“ იანვრის სატრანსფერო ბაზრის დროს გადაბარგდება.

„ვილიას“ პრიმერადივიზიონის მომავალ შეხვედრაში ფრანგი მცველი პასკალ სიგანი დააკლდება. სიგანი „ხიმნასტიკთან“ შეხვედრისას დაშავდა. მატჩის მეთექვსმეტე წუთზე ფრანგმა ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა. ხოსე მარის და ხავი ვენტასაც ტრავმები აქვთ, თუმცა ექიმები აცხადებენ რომ ეს ჩაუქები მომავალ ტურში „სელტასთან“ ბურთაობას შეძლებენ.

„ელ მადრიგალის“ ფეხბურთელები კი გუნდის წინსვლით, „ბარსელონასთან“ ამასწინანდელი განადგურების მიუხედავად, კმაყოფილნი არიან. „ბარსელონასთან“ წავაგეთ, მაგრამ ეს სამყაროს დასასრულს არ ნიშნავს. „ხიმნასტიკი“ დავამარცხეთ, მომავალ მატჩებშიც ასე გაგრძელებაა საჭირო“ — ამბობს ხუან რომან რიკელმე.

ლადო ხომერიკი

მინუსი რა ჩემი ბრალია?

ადრიანოს ნაგვის ბურთი

მასიმო მორატი „ინტერით“ ამაყობს

იტალიურმა „ინტერმა“ ზედიზედ მეთერთმეტე მატჩი მოიგო და ახლა კარგ ფორმაშია. „ნეროაძური“ სერია A-ს ოთხქულიანი უპირატესობით ლიდერობს და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც გასულია. მილანელთა მფლობელი მასიმო მორატი თავისი გუნდის წარმატებით კმაყოფილია და თვლის, რომ „ინტერის“ ლეგენდა და ყოფილი პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი ამით იამაყებდა.

„წლევანდელი გუნდი ძალიან დაბალანსებული და სოლიდურია. იგი თვითდაჯერებულად და შედეგიანად თამაშობს. გარკვეულწილად ამ სეზონის გუნდი ფაკეტის ხასიათს გამოხატავს და, ვფიქრობ, იგი ამ „ინტერით“ იამაყებდა. სერია A-ში პირველ ადგილს ვიმსახურებთ, რაც დიდი შრომის შედეგია. თუ რამდენიმე კლუბმა სეზონი მინუს ქულებით დაიწყო, არც „ინტერის“ ბრალია და არც პრობლემა. რაც შეეხება რობერტო მანჩინისთვის კონტრაქტის გახანგძლივების საკითხს, არ მესმის, ამაზე ამდენს რატომ საუბრობენ. იგი მშვენივრად მუშაობს და სალაპარაკო არაფერია. დავიმატებთ თუ არა იანვარში ახალ ფეხბურთელებს? არა მგონია — სანტა კლაუსი ალბათ ასე არ დაგვასაჩუქრებს“ — აღნიშნა ღიმილით მორატიმ.

„ნეროაძურის“ მფლობელი კი ამბობს, ახალი ფეხბურთელების შეძენას არ ვაპირებთო, მაგრამ იტალიური პრესა იუწყება, მილანელებს ახალგაზრდა არგენტინელ ფორვარდ ფერნანდო ბელუშის შეძენა სურთო. ეს 23 წლის ფეხბურთელის კლუბმა „რივერ პლეიტმაც“ დაადასტურა, თუმცა არგენტინულ გრანდს „ინტერის“ მიერ შეთავაზებული 7 მილიონი ევრო არ აკმაყოფილებს. მით უმეტეს, ბელუშის სხვა მსურველებიც ჰყავს მადრიდის „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ სახით.

„ბელუშით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის „ინტერიც“, რომლისგანაც ფაქსი მივიღეთ, მაგრამ მილანელების მიერ შემოთავაზებული თანხა არ გვაკმაყოფილებს. იგი ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერია. მისით უკვე ეროვნული ნაკრებიც დაინტერესდა და ასე ადვილად არ შეველევით“ — თქვა „რივერის“ ვიცე-პრეზიდენტმა მარიო ისრაელმა.

და ბოლოს, ცნობილი იტალიური ტელერადიო კომპანიის „რაი“-ს ყოველწლიურ გამოკითხვად ძველი ნომინაციაში — სერია A-ს წლის ყველაზე ცუდი მოთამაშე — გაიმარჯვა „ინტერის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ, რომელსაც სიმბოლურად „ოქროს ურნა“ უნდა გადასცეს. მან „მილანის“ თავდამსხმელებს — რიკარდო ოლივეირასა და ალბერტო ჯილარდინოს გაასწრო. აქამდე ამ ნომინაციაში გამარჯვებულნი არიან: ნიკოლა ლეგროტელიე, რივალდო და კრისტიან ვიერი.

კოტი კანდელაკი

ინგლისი

პრემიერლიგა. XVI ტური

მანჩესტერ სიტი 0:0 უოტფორდი

მანჩესტერ სიტი: ვივერი, რიჩარდსი, დანი, დისტინი, ტეტჩერი, ტრაბელსი, ბარტონი, კ. რეინა (ჰამანი 80), ვასელი, კორადი, სამარასი (მილერი 64)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

უოტფორდი: ლი, ჩემბერსი, დე მერიტი, შიტუ, სტიუარტი, სმიტი, ფრენსისი, მაჰოუნი, ბუაზა, ჰენდერსონი, იანგი

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

გაფრთხილება: ვასელი, ფრენსისი, მაჰოუნი, ჩემბერსი

მსაჯი: კლატენბურგი

35 915 მაყურებელი

მანჩესტერი	16	13	2	1	35:8	41
ჩელსი	15	11	2	2	25:8	35
არსენალი	15	7	4	4	25:12	25
პორტსმუთი	16	7	4	5	21:14	25
ლივერპული	16	7	4	5	19:15	25
რედინგი	15	8	1	6	17:18	25
ევერტონი	16	6	6	4	20:15	24
ასტონ ვილა	16	5	9	2	19:15	24
ბოლტონი	16	7	3	6	15:15	24
სიტი	16	5	5	6	13:17	20
ფულემი	16	5	5	6	16:23	20
ტოტენჰემი	15	5	4	6	13:19	19
უიგანი	14	5	3	6	17:20	18
ბლეკბერნი	14	4	4	6	13:17	16
მიდლსბრო	15	4	4	7	12:19	16
შეფილდი	16	4	4	8	11:20	16
ვესტ ჰემი	15	4	2	9	10:18	14
ნიუკასლი	14	3	4	7	9:15	13
უოტფორდი	15	1	7	7	10:20	10
ჩარლტონი	15	2	3	10	11:23	9

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVII ტური

კლადნო 0:2 სპარტა

სპარტა	17	10	6	1	20:6	36
სლავია	17	10	4	3	29:15	34
ლიბერეცი	17	9	6	2	24:9	33
ბოლესლავი	17	9	3	5	26:20	30
იაბლონეცი	17	6	7	4	21:18	25
ბრნო	17	6	7	4	15:16	25
ბუდეიოვიცე	17	7	4	6	19:22	25
ტეპლიცე	17	6	6	5	30:24	24
ბანიკი	17	5	6	6	22:23	21
პლზენი	17	5	6	6	18:20	21
მოსტი	17	4	7	6	21:24	19
სიგმა	17	5	3	9	18:23	18
კლადნო	17	5	3	9	16:27	18
ზლინი	17	3	5	9	11:21	14
პრჟიბრამი	17	2	7	8	11:21	13
სლოვაცკო	17	1	6	10	11:23	9

იტალია

სერია B. XIV ტური

ლეჩე 2:1 ბრეშა

ნაპოლი	14	7	5	2	15:9	26
იუვენტუსი	14	10	4	0	26:6	25
ბოლონია	14	8	1	5	17:13	25
პიაჩენცა	14	7	3	4	14:14	24
რიმინი	14	6	5	3	20:12	23
ჩეზენა	14	6	5	3	25:20	23
ტრიესტინა	14	6	6	2	12:8	23
ჯენოა	14	6	4	4	23:19	22
მანტოვა	14	5	7	2	15:12	22
ბრეშა	14	5	5	4	13:13	20
ბარი	14	5	4	5	12:9	19
ფროზინონე	14	5	4	5	15:14	19
ალბინოლეფე	14	3	10	1	14:13	19
ლეჩე	14	5	2	7	19:22	17
მოდენა	14	5	2	7	10:15	17
ტრევიზო	14	3	6	5	14:17	15
სპეცია	14	3	6	5	13:16	15
კროტონე	14	3	5	6	12:20	14
ვერონა	14	2	5	7	5:12	11
ვიჩენცა	14	1	5	8	10:17	8
პესკარა	14	0	5	9	10:24	4
არეცო	14	1	5	8	6:16	2

ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა

გერმანია

II ბუნდესლიგა. XV ტური

კიოლნი 1:3 დუისბურგი

ჰანზა	15	10	5	0	29:10	35
კარლსრუე	15	9	5	1	35:17	32
დუისბურგი	15	7	7	1	29:15	28
ლაუტერნი	15	8	4	3	23:14	28
აუე	15	8	2	5	21:19	26
მიუნხენი	15	7	3	5	18:19	24
აუგსბურგი	15	5	5	5	15:15	20
კიოლნი	15	5	4	6	22:20	19
კობლენცი	15	5	4	6	18:20	19
ფიურტი	15	4	5	6	23:21	17
უნტერჰახინგი	15	4	5	6	15:15	17
პადერბორნი	15	4	5	6	12:16	17
ფრაიბურგი	15	3	7	5	16:20	16
ოფენბახი	15	4	4	7	17:23	16
კარლ ცაისი	15	3	6	6	18:31	15
ბურგჰაუზენი	15	4	3	8	15:28	15
ესენი	15	3	3	9	13:19	12
ბრაუნშვაიგი	15	1	5	9	9:26	8

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 38 11 14, 877 54 55 00

საფრანგეთი

II დივიზიონი. XVIII ტური

რეიმსი 2:2 კაენი

მეცი	18	13	4	1	26:8	43
კაენი	18	10	7	1	29:14	37
სტრასბური	18	9	7	2	24:13	34
დიჟონი	18	9	5	4	22:19	32
ლე ავრი	18	7	8	3	28:17	29
გრენობლი	18	7	7	4	26:20	28
შატორუ	18	8	4	6	23:21	28
ამიენი	18	8	3	7	24:24	27
რეიმსი	18	7	5	6	20:17	26
ბასტია	18	6	6	6	24:22	24
აიაჩო	18	6	5	7	18:20	23
გენიონი	18	6	3	9	19:28	21
ლიბურნი	18	5	5	8	20:23	20
მონპელიე	18	5	4	9	20:23	19
კრეტეი	18	4	7	7	13:21	19
ბრესტი	18	3	8	7	17:22	17
ისტრი	18	4	5	9	15:27	17
გენგამი	18	3	6	9	17:22	15
ნიორი	18	3	6	9	16:25	15
ტურსი	18	3	3	12	12:27	12

პორტუგალია

სუპერლიგა. XII ტური

მარიტიმუ 1:0 სეტუბალი

1:0 ლიპატინი (67)

პორტუ	12	10	1	1	26:7	31
სპორტინგი	12	8	2	2	18:9	26
ბრაგა	12	7	2	3	19:15	23
ბენფიკა	11	7	1	3	23:13	22
ნასიონალი	12	6	1	5	19:13	19
მარიტიმუ	12	6	1	5	13:12	19
ლეირია	12	5	3	4	11:13	18
ფერეირა	12	4	5	3	13:14	17
ნავალი	12	4	4	4	10:11	16
ბელენენსეში	11	4	2	5	9:9	14
აკადემიკა	12	3	4	5	17:19	13
ბოავიშტა	12	3	3	6	12:17	12
ამადორა	12	3	2	7	7:16	11
სეტუბალი	12	2	3	7	8:16	9
ავეში	12	2	2	8	10:19	8
ბეირა მარი	12	1	4	7	14:26	7

შვეიცარია

სუპერლიგა

XVII ტური

ბაზელი 3:0 ლუცერნი

ციურიხი	17	12	1	4	36:16	37
სიონი	17	10	4	3	34:23	34
გრასჰოპერი	17	9	2	6	30:16	29
სენტ გალენი	17	9	2	6	26:25	29
ბაზელი	16	8	2	6	34:27	26
იანგ ბოისი	16	8	2	6	25:21	26
ლუცერნი	17	4	4	9	17:25	16
შაფჰაუზენი	17	3	5	9	15:29	14
თუნი	17	3	5	9	10:32	14
აარაუ	17	4	1	12	15:28	13

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. VI ტური, დღე

E ჯგუფი

ბავშვებო, თქვენ ნახავთ კიევს

დინამო — რეალი

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია. რაც არ უნდა მოხდეს, ჟერარ ულიეს ფანტასტიკური „ლიონი“ ჯგუფური ეტაპის ლიდერად რჩება, „რეალი“ მაინც მეორე ადგილზე დარჩება, რუმინული „სტიაუა“ უეფას ვერ ასცდება, ხოლო კიევის „დინამოს“ საამსეზონო ევროტურნირებზე უარის თქმა მოუწევს.

ლიგის წინა ტურში „რეალს“ „ბერნაბეუზე“ „ლიონი“ რომ დაეჯაბნა, მადრიდელთა პირველადგილოსნობაზე კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი, თუმცა ის შეხვედრა 2:2 დასრულდა და დღეს მოტივაციადაკარგული სამეფო გუნდი უკრაინაში მოედანზე სათადარიგო შემადგენლობას გაიყვანს. თუმცა მარტო მოტივაციის უქონლობა არაფერ შუაშია, „რეალს“ ტრავმებიც აწუხებს. სისინიოს, კანავაროს, ელგერას, პავონის და გუტის სალაზარეთო არმადას „ბილბაოსთან“ ჯაბში დალეწილი ხოსე ანტონიო რეიესიც შეემატა. სერხიო რამოსი სანქცირებული გახლავთ, ხოლო ემერსონი და რაული კაპელოს მითითებით დაისვენებენ. ამიტომაც კიევის „დინამოსთან“ საბრძოლველად განაცხადში ადრიან გონსალესი და სხვა სათადარიგოები არიან. ადრიან გონსალესი „რეალის“ ლეგენდარული ფეხბურთელის მიჩელის შვილია. მიჩელი კი ამჟამად სამეფო თეთრების ფილიალი გუნდის „რეალ კასტილიას“ მწვრთნელი გახლავთ. შვილი „რეალ კასტილიაში“ მამის შეგირდია და, როგორც გაზეთები აცხადებენ, დამრიგებელ მიჩელის დიდ მოწონებასაც იმსახურებს.

დანარჩენი „კანტერანოები“ (მეორე გუნდის წევრები), რომელთაც „დინამოსთან“ ბრძოლის შანსი ექნებათ, მეკარე ადანი, ტორესი, სერხიო, ხავი გარსია, დე ლა რედი, მატა და ნიეტო არიან. პაკო პავონი თითქოს ძირითადში უნდა ყოფილიყო, თუმცა თამაშამდე ვარჯიშზე მუხლის აუტანელმა ტკივილმა შეაწუხა და იმასაც ლაზარეთში უკრეს თავი. სამაგიეროდ, ძირითადში დევიდ ბექემი მოხვდება. დევიდი ლიგის პირველ ორ ტურში გახლდათ სასტარტო თერთმეტში და მერე სამეფო გუნდის ძირითადს აღარ გააკარეს. საერთოდ ბექემი ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებშიც ვერ თამაშობს და ამ ბოლო დროს ფეხბურთელის აგენტებმა მედიასთან განაცხადეს — თუ კაპელომ დევიდს თავის გამოჩენის შანსი აღარ მისცა, ინგლისელს თვითმფრინავის ბილეთის ყიდვის გარდა არაფერი დარჩენიაო. აგერ, ბატონო, უმოტივაციო შეხვედრა კიევოში და ხომ მისცა კაპელომ ბექემს ძირითადი.

„დინამო“ სამეფო თეთრებთან ლიგის მეორე ტურში „ბერნაბეუზე“ 1:5 განადგურდა. მაშინ ორორი გოლი ვან ნისტელროიმ და რაულმა შეყარეს, ერთი კი ხოსე ანტონიო რეიესმა. კიეველთაგან ერთადერთი საპასუხო გოლი არტიომ მილევსკიმ გაიტანა. თუ „დინამომ“ დღესაც წააგო შინაურ არენაზე, მას ჩემპიონთა ლიგაზე ისტორიაში ყველაზე ცუდი სეზონი ექნება.

მასპინძლებს სამეფო თეთრებთან ომში ბრაზილიელი დიოგო რინკონი ვერ დაეხმარებათ. ოკეანისგაღმელი უკრაინელებს მუხლის ტრავმის გამო იანვრამდე გამოაკლდებათ.

AFP კიევიდან

რუუდ ვან ნისტელროის და რეალელებს კიევში, რა თქმა უნდა, დიდი ოვაციებით დახვდნენ

ლიონი — სტიაუა

ფრანგულ „ლიონს“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო 17 საშინაო თამაშში წაგება არ ახსოვს. გალებმა ამ ჩვიდმეტიდან 12 მოიგეს. ბოლო ოთხ საშინაო თამაშში კი „ლიონს“ საკუთარ კარში გოლი არ მიუღია.

„სტიაუასთან“ წინა მატჩი ულიეს გუნდმა ბუქარესტში 3:0 მოიგო. „ლიონიდან“ თავი მაშინ ფრედმა, ტიაგუმ და კარიმ ბენზემამ გამოიჩინეს.

2006-07-ის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ლიონმა“ ჯერ მარტო ერთ თამაშში ვერ გაიმარჯვა. ეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წინა, მეხუთე ტურში მოხდა, როცა „რეალის“ მაჰამადუ დიარას და რუუდ ვან ნისტელროის გოლებმა ჯონ კარეუს და ფლორიან მალუდას ადრე გატანილები გააქარწყლეს.

„ვეცდებით, რომ „სტად ჟერლანზე“ გავიმარჯვოთ და ჩემპიონთა ლიგა კარის გაჯახუნებით დავტოვოთ. საკმაოდ რთულ ჯგუფში ვიყავით და „რეალთან“ და „ლიონთან“ მერვედფინალში გასვლის მცირე შანსი გვქონდა. თუმცა 6 დეკემბერს ფრანგებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიომებთ. მინდა, რომ ხალხმა „სტიაუას“ წლევანდელი სალიგო თავგადასავალი დიამახსოვროს“ — განაცხადა კოზმინ ოლაროიუმ ჟურნალისტებთან საუბარში.

ისე, რუმინელებს ფრანგულ მიწაზე ბედი ნაკლებად სწყალობთ. „სტიაუას“ აქამდე გალეთში 7 მატჩი ჩაუტარებია და ყველა წაუგია. 1997-98 წლების ლიგაში „სტიაუამ“ რუმინეთში პსჟ-ს 3:0 მოუგო, მაგრამ პარიზში საპასუხო შეხვედრაში 0:5 ამოყირავდა...

ლადო ხომერიკი

ლიონი	5	4	1	0	11:2	13
რეალი	5	3	1	1	12:6	10
სტიაუა	5	1	1	3	6:10	4
დინამო	5	0	1	4	3:14	1

F ჯგუფი

AFP მანჩესტერიდან

ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერს“ სახუმაროდ არ სცხელა

მანჩესტერი — ბენფიკა

საკვანძო შემადგენლობები

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ჰაინცე, რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი, საა

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ბენფიკა: კიმი, ნელსონი, ლუიზაო, რ. როჩა, ლეო, პეტიტი, კაცურანისი, ნუნუ ასისი, სიმაო, ნუნუ გომეში, მიკოლი

მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

ან ყველაფერი, ან არაფერი

იმას, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გააკეთა, მოხერხება უნდოდა. გახსოვთ, როგორ დაიწყო ჩემპიონთა ლიგის გათამაშება? ალექს ფერგიუსონის გუნდმა პირველ სამ თამაშში ცხრა ქულა მიითვალა (მათ შორის, დღევანდელ მეტოქეს, „ბენფიკას“ მოუგო ლისაბონში 1:0), მაგრამ შემდეგ „კოპენჰაგენთან“ და „სელტიკთან“ ერთნაირი ანგარიშით, 0:1 წააგო და შედეგად, იმისათვის, რომ ჯგუფიდან გავიდეს, დღეს აუცილებელი გამარჯვება სჭირდება.

„ბენფიკა“ კი ის გუნდია, რომელმაც გასულ სეზონში „იუნაიტედი“ ჯგუფში ჩატოვა.

„ადვილი თამაში ნამდვილად არ იქნება, მეტოქესთან ხუმრობა არ შეიძლება, თუმცა შანსი გვაქვს და ვფიქრობ მას გამოვიყენებთ — ამბობს ფერგიუსონი — მაიმედებს ის, რომ კარგ ფორმაში ვართ და მეორეც, მეტოქეთა გადამწყვეტ შეხვედრებში დამარცხება არ დაგვიწყებია. მთავარია, მომენტები გამოვიყენოთ“.

გოლის გატანა მანჩესტერელთათვის ბოლო დროს მართლა პრობლემად იქცა. სტატისტიკა მეტყველებს, რომ „იუნაიტედმა“ ლიგის ბოლო 14 შეხვედრიდან მხოლოდ სამში შეაგდო ბურთი მოწინააღმდეგის კარში, თუმცა სტატისტიკოსებს ინგლისელების დამაიმედებელი რიცვებიც მოეძიებათ: „ოლდ ტრეფორდზე“ ბოლო 29 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგო.

ფერგიუსონი დღევანდელ შეხვედრას სერიოზულად რომ აღიქვამს იმითაც დასტურდება, რომ იგი პარასკევს ლისაბონში გახლდათ და „ბენფიკას“ მიერ „სპორტინგის“ 2:0 ძლევას დაესწრო. „სპრტინგის“ კარში გოლები რიკარდო როჩამ და სიმაო საბროსამ გაიტანეს. ამ შეხვედრაში „ბენფიკას“ დაუბრუნდა გამოჯანმრთელებული ბრაზილიელი მცველი ლუიზაო.

ლისაბონელთა მწვრთნელი ფერნანდო სანტუში:

„ეს თამაში შინაარსით ფინალს უტოლდება — ყველაფერი ან არაფერი. ჩვენ დიდი გუნდთან გვიწევს დაპირისპირება, მაგრამ მწამს გამარჯვება შეგვიძლია. ფეხბურთში იღბალი აუცილებელია და თუ ის ჩვენს მხარეს იქნება, გოლს გავიტანთ და სასურველ შედეგს მივაღწევთ“.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ბენფიკასთვის“ ინგლისში გამარჯვება უცხო არ არის. მაგალითად, გასულ სეზონში მან „ენფილდ როუდზე“ „ლივერპული“ დაამარცხა და ორი თამაშის ჯამში მოგებული 3:0-ით მეოთხედფინალში გავიდა. რაც შეეხება „იუნაიტედის“ პორტუგალიურ გამოცდილებას („ბენფიკასთან“ შარშანდელი გავარდნის ამბავს აქ აღარ გავიმეორებთ), გასახსენებელია 2004 წელი, როდესაც მანჩესტერელებს „პორტუმ“ შინ 2:1 მოუგო, „ოლდ ტრეფორდზე“ კი 1:1 ეთამაშა.

თუმცა, ისტორია მხოლოდ ბოლო წლებითაც რომ არ შემოიფარგლება? „ბენფიკას“ „იუნაიტედის“ ცხოვრებაში საგანგებო ადგილი უჭირავს, რადგან კლუბს ჩემპიონთა თასზე ორი ყველაზე დიადი მატჩი სწორედ ლისაბონელებთან აქვს ნათამაშევი: 1966 წლის მეოთხედფინალური 5:1, სადაც ორი გოლი ჯორჯ ბესტმა გაიტანა და 1968 წლის ფინალური 4:1.

კოპენჰაგენი — სელტიკი

დღეს დანიურ გუნდს შოტლანდიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი შონ მელოუნი ვერ შეუტევს. კოჭნატკენმა მელოუნმა ვერც შაბათის ითამაშა „აბერდინის“ წინააღმდეგ 1:0 მოგებულ შეხვედრაში. სტუმრებს ორი ყვითლის გამო არ ეყოლებათ ჰოლანდიელი ევანდერ სნი, მაგრამ ის მაინც წაყვა თანაგუნდელებს დანიის ღაღაქალაქში. კიდევ ერთ ჰოლანდიელს ვენგეორო ოფ ჰესელინკს ორთავა კუნთი სტკივა და ვერ ითამაშებს, კოჭის ტკივილის გამო არ იქნება გერი კოლდუელიც.

რას აძლევს შესაძლო გამარჯვება შოტლანდიის ჩემპიონს? ჯგუფში პირველ ადგილს, თორემ მერვედფინელში ადგილი გარანტირებული აქვს.

კაკუნა კედია

სელტიკი	5	3	0	2	7:6	9
მანჩესტერი	5	3	0	2	7:4	9
ბენფიკა	5	2	1	2	6:5	7
კოპენჰაგენი	5	1	1	3	2:7	4

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

G ჯგუფი

არეულობა არ მჭირდება

პორტუ — არსენალი

სავარაუდო შემადგენლობები

პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, პეპე, ბ. ალვეში, ფუსილე, პ. ასუნსაო, ლ. გონსალესი, მეირელეში, კვარესმა, ლ. ლოპესი, პოშტიგა

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე, სენდეროსი, კლიჩი, გლები, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, ლიუნგბერგი, ადებაიორი, ვან პერსი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

„არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა „პორტუსთან“ მატჩის წინ გუნდი შეაჯანჯღარა და მობილიზებისკენ მოუწოდა. არადა, ამ შეხვედრის ფრედ დასრულების შემთხვევაში ორივე გუნდი მერვედფინალის საგზურს გაინაღდებს და „ჰამბურგში“ ცსკა-ს მოგებას აზრი დაეკარგება. ვენგერმა მოუწოდა გუნდს, დაივიწყოს ყველაფერი, (მათ შორის ტიერი ანრის ამბავი, რომელიც მწვრთნელს შეეკამათა) და დავალებული საქმე შეასრულოს.

ტიერი ანრი „პორტუსთან“ მატჩს გამოტოვებს, რადგან წინა ტურში „ჰ ამბურგთან“ გააფრთხილეს და ზედმეტი ყვითელი ბარათები დაუგროვდა.

ცნობილია, რომ გასულ პარასკევს, „ტოტენჰემთან“ მატჩის წინადღეს, ტიერი ანრი არსენ ვენგერმა ვარჯიშიდან დაითხოვა, რის გამოც ფეხბურთელი გაბრაზდა. 29 წლის ფორვარდმა გულისწყრომა არ დამალა და განაცხადა, რომ „ტოტენჰემთან“ თამაშის გამოტოვება ეწყინა. „მამლები“ პირველად ესტუმრნენ „არსენალს“ ახალ სტადიონზე და სწორედ ამ შეხვედრაში თამაში სურდა ანრის.

„ჩვენს შორის ყველა პრობლემა მოგვარებულია — განაცხადა ვენგერმა — ხშირად ვკამათობ და ეს შემთხვევა გამონაკლისი არ იყო. ძალიან მნიშვნელოვანი კვირა გველის და ამიტომ არეულობა არ მჭირდება. „პორტუსთან“ თამაშზე უნდა ვიფიქროთ, რომ მომდევნო ეტაპზე ადგილი გავინაღდოთ“.

„არსენალის“ კაპიტანმა ჟილბერტო სილვამ თქვა, რომ გუნდი ანრის გარეშეც შეძლებს სასურველი შედეგის მიღწევას.

„ეს კვირა ჩვენთვის გადამწყვეტია, როგორც პრემიერლიგაში, ისე ჩემპიონთა ლიგაში — აღნიშნა სილვამ — „ტოტენჰემთან“ სამუშაო კარგად შევასრულეთ, მაგრამ ასე უნდა გავაგრძელოთ. ძალიან მძიმე მატჩი გველის „პორტუსთან“, თუმცა პორტუგალიაში ჩვეულად ვიბრძოლებთ“.

ჟილბერტო სილვამ „ტოტენჰემთან“ მოგებულ (3:0) მატჩში ორი პენალტი შეაგდო და „არსენალი“ მესამე ადგილზე გავიდა. მომავალ უქმეებზე „მეთოფეები“ „ჩელსის“ ხვდებიან და ლიდერთან ქულათა სხვაობის შემცირების შანსი აქვს.

ტოგოელმა ფორვარდმა ემანუელ ადებაიორმა, რომელმაც „ტოტენჰემთან“ ანგარიში გახსნა, განაცხადა: „მთავარი ისაა, რომ „ტოტენჰემთან“ კარგად ვითამაშეთ. ახლა ნებისმიერ მატჩში მოედანზე სული და გული უნდა დავდოთ.“

„პორტუს“ ნახევარმცველ რიკარდო კვარესმას კი მიაჩნია, რომ მისი გუნდი ლონდონში 0:2 მარცხისთვის შურს იძიებს და ჩემპიონთა ლიგაში მეჯრით მეოთხე თამაშს მოიგებს. „ცხადია, ძალიან მძიმე მატჩი გველის, მაგრამ შინაური გარემოს იმედი მაქვს. „არსენალს“ ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. თუმც ამასარ შევუშინდებით. ჩვენ იმას გავაკეთებთ, რასაც აქამდე ვაკეთებდით, მოსაგებად ვითამაშებთ, არანაკლებ კარგი მოთამაშეები გვყავს. ყოველი მომდევნო გამარჯვება თავდაჯერებას გვმატებს“.



ჟილბერტო სილვას ანრის გარეშეც არა უჭირს

AFP

ჰამბურგი — ცსკა

ჰამბურგელებს ერთადერთი რამ სურთ — მოგება. გუნდი ბუნდესლიგის ცხრილის ფსკერზე დაილექა და ნებისმიერ მატჩში გამარჯვება ენატრებათ. ცსკა თუ მოიგებს, მაშინ „პორტუ“ — „არსენალს“ შეხვედრა არ უნდა დამთავრდეს ფრედ, მხოლოდ ამ შემთხვევაში გავა რუსეთის ჩემპიონი მერვედფინალში.

ვაჟა ხუციშვილი

არსენალი	5	3	1	1	7:3	10
პორტუ	5	3	1	1	9:4	10
ცსკა	5	2	2	1	2:2	8
ჰამბურგი	5	0	0	5	4:13	0

H ჯგუფი

კარლო ანჩელოტის და ჯენარო გატუზოს თავი ჭუდში აქვთ

AFP

ბორიელოს ლილთანაც კალიარი უნდა

მილანი — ლილი

ბოლო ტურის წინ H ჯგუფში გარკვეულია, რომ იტალიური „მილანი“ მერვედფინალში ითამაშებს, „როსონერის“ პირველი ადგილი განაღდებული აქვს, ასე რომ, გასაკვირი არც იქნება, კრიზისში მყოფმა მილანელებმა „ლილთან“ თავი არ მოიკლან. მით უმეტეს, რომ ფრანგებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ, „სან სიროზე“ დიდი გულით ჩავიდნენ და სასურველი შედეგის მისაღწევად არაფერს დაიშურებენ.

კლოდ პუელის შეგირდები მერვედფინალში მოგების შემთხვევაში გავლენ, ოღონდ თუ აეკ-ი ბელგიაში „ანდერლეხტს“ ვერ დაამარცხებს. ფრანგებს ფრეც დააკმაყოფილებთ, თუ ბერძნები ბრიუსელელებთან წააგებენ. თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, „ლილი“ უეფას თასის გარეშეც დარჩეს, ეს ვარიანტი რეალობად ფრანგების წაგებისას და „უნდერლეხტის“ მოგების შემთხვევაში იქცევა.

„მილანს“ ამ მატჩში შესუსტებული შემადგენლობით თამაში იძულებითაც მოუწევს, რადგან რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაშავებული ჰყავს, „ლილს“ ფაქტობრივად არავინ აკლია.

„რონოსერომ“ გასულ უქმეებზე, სტუმრად „კალარიასთან“ ფრედ, 2:2 ითამაშა. ერთ-ერთი გოლი გუნდის სათადარიგო ფორვარდმა მარკო ბორიელომ გაიტანა და მას იმედი აქვს, რომ თავის გამოჩენის შანსი „ლილთანაც“ მიეცემა.

— „კალიარისთან“ მატჩი ჩემთვის ძალიან კარგი გამოდგა, ამ სეზონში სერია A-ში პირველი გოლი გავიტანე და კიდევ რამდენიმე მომენტი მქონდა. უკვე კარგი გამოცდილება მივიღე და ვფიქრობ, ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზად ვარ. იმედია, მწვრთნელი მინდორზე გასვლის საშუალებას მომცემს. თუ გოლსაც გავიტან, ძალიან ბედნიერი ვიქნები. ასეც რომ არ მოხდეს, პრობლემა არ იქნება, შრომას ვაგრძელებ და ვეცდები, მომავალშიც შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო — თქვა 24 წლის ბორიელომ.

„მილანმა“ ევროსარბიელზე გამართული ბოლო 17 საშინაო მატჩიდან 15 მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთი წააგო. „როსონერიმ“ ფრანგულ კლუბებთან „სან სიროზე“ გამართული უკანასკნელი 12 შეხვედრიდან კი ერთშიც არ დამარცხებულა — 9 მოგება და 3 ფრე.

ანდერლეხტი — აეკ

აეკ-ს ჩემპიონთა ლიგაში 21 მატჩი არ მოეგო, მაგრამ წინა ორ ტურში მიჯრით იმარჯვა და ეს ანტირეკორდიც შეწყვიტა. ახლა ყველაფერი ბერძნების ხელშია, რომლებსაც თავის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი წარმატების მიღწევა შეუძლიათ. ამისთვის ათენელებმა „ანდერლეხტს“ უნდა მოუგონ და იმის მიუხედავად, თუ როგორ ითამაშებს „ლილი“ მილანში, მეორედფინალში გავლენ.

„ანდერლეხტს“ თავისი ინტერესი აქვს, თუ ბრიუსელელები მოიგებენ, ხოლო „ლილი“ წააგებს, ისინი უეფას თასზე გადაინაცვლებენ, თუმცა ეს ძნელი სავარაუდოა, მით უმეტეს, რომ ბელგიელებს ჩემპიონთა ლიგაში გამართული ბოლო 18 მატჩიდან 14 მარცხი და ოდენ ერთი მოგება აქვთ.

აეკ-ის მინუსი კი ის არის, რომ ბერძნები გასვლაზე განსაკუთრებით ცუდად თამაშობენ. ათენელებს ევროსარბიელზე გამართულ უკანასკნელი 11 მატჩიდან ერთი აქვთ მოგებული, ხოლო 8 წაგებული.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული იელე ვან დამი დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს ემერსონი, პანაგიოტის ლაგოსი, ვლადან ივიჩი და ტრაიანოს დელასი.

გიორგი კაკაბაძე

მილანი	5	3	1	1	8:2	10
აეკ	5	2	1	2	4:7	7
ლილი	5	1	3	1	6:5	6
ანდერლეხტი	5	0	3	2	5:9	3

სარბიელი ⅊ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		6 დეკემბერი						
23:45	4	ვესტ ჰემი-უიგანი	1.95	3.30	3.85	1.22	1.29	1.77
23:45	5	ნიუკასლი-რედინგი	2.05	3.20	3.50	1.24	1.29	1.67
		9 დეკემბერი						
16:45	6	მანჩესტერი-სიტი	1.35	4.20	9.00	1.02	1.17	2.86
19:00	8	ბლეკბერნი-ნიუკასლი	2.15	3.20	3.30	1.28	1.30	1.62
19:00	9	მიდლსბრო-უიგანი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
19:00	10	პორტსმუთი-ევერტონი	2.20	3.20	3.20	1.30	1.30	1.60
19:00	11	ტოტენჰემი-ჩარლტონი	1.45	4.00	6.50	1.06	1.18	2.47
19:00	12	უოტფორდი-რედინგი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
19:00	13	ლივერპული-ფულემი	1.32	4.60	9.50	1.02	1.15	3.09
21:15	14	ბოლტონი-ვესტ ჰემი	1.80	3.30	4.50	1.16	1.28	1.90
		10 დეკემბერი						
20:00	16	ჩელსი-არსენალი	1.80	3.30	4.50	1.16	1.28	1.90
		11 დეკემბერი						
23:45	17	შეფილდი-ასტონ ვილა	2.75	3.20	2.45	1.47	1.29	1.38
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		9 დეკემბერი						
19:00	19	პლიმუთი-ჰალი	1.90	3.10	3.90	1.17	1.27	1.72
19:00	20	საუთენდი-საუთჰემპტონი	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23
19:00	21	ულვერჰემპტონი-ლესტერი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
19:00	22	ქოვენთრი-ბარნლი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
19:00	23	ლიდსი-დერბი	2.70	3.20	2.45	1.46	1.28	1.38
19:00	24	სანდერლენდი-ლუტონი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
19:00	25	ბირმინგემი-პრესტონი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
19:00	26	კრისტალ პალასი-კოლჩესტერი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:00	27	კარდიფი-იფსვიჩი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
19:00	28	ნორვიჩი-უენსდი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
19:00	29	სტოკი-ქარ	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
		10 დეკემბერი						
17:15	30	ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
		ინგლისი. I ლიგა						
		6 დეკემბერი						
23:30	42	ჩესტერფილდი-ნორთჰემპტონი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
		ინგლისი. კონფერენსი						
		6 დეკემბერი						
23:45	694	სტ.ალბანსი-მორიკომბი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		9 დეკემბერი						
19:00	91	აბერდინი-ფოლკირკი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
19:00	93	დანდი იუნაიტედი-ინვერნესი	2.25	3.10	2.95	1.30	1.27	1.51
19:00	94	ჰართსი-მოზერუელი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
19:00	96	კილმარნოკი-სტ.მირენი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
19:00	97	რეინჯერსი-ჰიბერნიანი	1.57	3.50	5.00	1.08	1.19	2.05
		10 დეკემბერი						
18:00	98	დანფერმლაინი-სელტიკი	10.00	4.80	1.25	3.24	1.11	1.00
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		9 დეკემბერი						
19:00	99	ერდრი-ვრეტნა	6.00	4.20	1.40	2.47	1.13	1.04
19:00	100	ლივინგსტონი-კლაიდი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	101	ქუინი-ჰამილტონი	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
19:00	102	როსი-პარტიკი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
19:00	103	სტ.ჯონსტონი-დანდი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		8 დეკემბერი						
23:30	104	ლევერკუზენი-ჰერტა	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
		9 დეკემბერი						
18:30	105	ბაიერნი-კოტბუსი	1.20	5.50	12.00	1.00	1.09	3.77
18:30	107	აინტრახტი-ვერდერი	4.00	3.30	1.85	1.80	1.26	1.18
18:30	109	ჰანოვერი-არმინია	2.05	3.00	3.80	1.21	1.33	1.67
18:30	110	მიონხენგლადბახი-მაინცი	1.75	3.10	5.00	1.11	1.29	1.91
18:30	111	შტუტგარტი-ბოხუმი	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
18:30	113	ჰამბურგი-ნიურნბერგი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 დეკემბერი						
20:00	114	შალკე-დორტმუნდი	1.75	3.20	5.00	1.13	1.29	1.95
20:00	696	ვოლფსბურგი-ალემანია	1.70	3.20	5.10	1.11	1.27	1.96
		იტალია. სერია A						
		9 დეკემბერი						
21:00	167	რეჯინა-ასკოლი	1.75	3.20	5.00	1.13	1.29	1.95
23:30	168	პალერმო-ლივორნო	1.70	3.10	5.50	1.09	1.29	1.98
		10 დეკემბერი						
18:00	169	ატალანტა-მესინა	1.75	3.20	5.00	1.13	1.29	1.95
18:00	170	კალიარი-პარმა	1.75	3.10	5.00	1.11	1.29	1.91
18:00	171	კატანია-უდინეზე	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
18:00	172	კიევო-ფიორენტინა	3.00	3.00	2.35	1.50	1.31	1.31
18:00	173	ემპოლი-ინტერი	5.70	3.40	1.60	2.12	1.24	1.08
18:00	175	მილანი-ტორინო	1.25	4.70	12.00	1.00	1.13	3.37
18:00	177	სამპდორია-სიენა	2.00	3.10	3.80	1.21	1.31	1.70
23:30	178	ლაციო-რომა	3.10	2.90	2.40	1.49	1.35	1.31
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		9 დეკემბერი						
23:00	213	ბარსელონა-სოსიედადი	1.17	6.30	12.00	1.00	1.06	4.13
23:45	220	სევილია-რეალი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
		10 დეკემბერი						
20:00	210	ბილბაო-უელვა	2.40	3.10	2.85	1.35	1.30	1.48
22:00	212	ატლეტიკო-ესპანიოლი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
20:00	215	სელტა-ვილიარეალი	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
20:00	216	ხეტაფე-ბეტისი	1.85	3.20	4.10	1.17	1.27	1.79
20:00	217	ტარაგონა-ლევანტე	2.45	3.10	2.85	1.36	1.31	1.48
20:00	218	ოსასუნა-მალიორკა	2.10	3.20	3.40	1.26	1.29	1.64
20:00	219	რასინგი-სარაგოსა	2.65	3.20	2.45	1.44	1.27	1.38
23:45	221	ვალენსია-დეპორტივო	1.65	3.40	5.30	1.11	1.25	2.07
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		9 დეკემბერი						
23:00	233	ბორდო-რენი	1.65	3.30	6.00	1.10	1.29	2.12
23:00	234	ლილი-სტ.ეტიენი	1.75	3.30	4.75	1.14	1.27	1.94
23:00	236	ლორიანი-სედანი	1.65	3.30	6.00	1.10	1.29	2.12
23:00	238	ლიონი-პსჟ	1.45	3.70	8.00	1.04	1.22	2.52
23:00	240	მარსელი-მონაკო	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
23:00	241	ნანტი-ლე მანი	2.10	3.10	3.50	1.25	1.31	1.64
23:00	242	ნიცა-ნანსი	2.10	3.10	3.50	1.25	1.31	1.64
23:00	243	ტულუზი-ლანსი	2.15	3.10	3.25	1.26	1.29	1.58
23:00	244	ტრუა-ოსერი	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
23:00	245	ვალენსიენი-სოშო	2.55	3.00	2.80	1.37	1.33	1.44
		ჩილე						
		6 დეკემბერი						
23:45	350	პუერტო მონტი-კოლო კოლო	2.45	3.30	2.45	1.40	1.22	1.40
		ჩემპიონთა ლიგა						
		6 დეკემბერი						
23:45	360	ანდერლეხტი-აეკ	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
23:45	361	დინამო კ-რეალი	2.75	3.10	2.40	1.45	1.28	1.35
23:45	363	კოპენჰაგენი-სელტიკი	2.65	3.10	2.50	1.42	1.28	1.38
23:45	364	ჰამბურგი-ცსკა	2.95	3.30	2.20	1.55	1.26	1.31
23:45	365	ლიონი-სტიაუა	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
23:45	367	მანჩესტერი-बენფიკა	1.35	4.20	8.50	1.02	1.16	2.81
23:45	369	მილანი-ლილი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
23:45	370	პორტუ-არსენალი	3.60	1.60	3.90	1.10	1.87	1.13
		ჰოკეი. შვეიცარია						
		6 დეკემბერი						
22:45	530	ციურიხი-ლუგანო	2.10	4.10	2.30	1.38	1.09	1.47
		ჰოკეი. რუსეთი						
		6 დეკემბერი						
20:00	542	აკ ბარსი-დინამო	1.38	4.60	4.50	1.06	1.05	2.27
13:00	543	ამური-ცსკა	3.20	4.50	1.50	1.87	1.02	1.12
18:30	545	ლადა-მაგნიტოგორსკი	2.40	4.10	1.85	1.51	1.04	1.27
19:30	546	ლოკომოტივი-სიბირი	1.95	4.20	2.40	1.33	1.07	1.52
18:00	548	ს.იულაევი-ტრაქტორი	1.30	4.80	5.10	1.02	1.03	2.47

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	549	ავანგარდი-სევერსტალი	1.30	4.20	5.00	1.00	1.03	2.28
20:00	550	ხიმიკი-ასკ	1.40	4.50	4.00	1.06	1.03	2.11
		კალათბურთი. ევროლიგა						
		6 დეკემბერი						
22:15	681	ულქერი-ცსკა	3.20	12.00	1.20	2.52	1.00	1.09
22:45	682	უნიკახა-პარტიზანი	1.25	12.00	3.20	1.13	1.00	2.52
23:15	683	ენერგია-ოლიმპიაკოსი	3.80	12.00	1.20	2.88	1.00	1.09
23:30	684	ლე მანი-ტაუ	2.70	12.00	1.35	2.20	1.00	1.21
23:45	685	ბოლონია-პროკომი	1.30	12.00	3.10	1.17	1.00	2.46
		7 დეკემბერი						
21:15	686	დინამო-ეფესი	1.30	12.00	2.90	1.17	1.00	2.33
21:15	687	ციბონა-რომა	1.40	12.00	2.50	1.25	1.00	2.06

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:15	688	პანათინაიკოსი-მაკაბი	1.15	12.00	4.00	1.04	1.00	3.00
22:45	689	ჟალგირისი-ორტეზი	1.40	12.00	2.60	1.25	[illegible]	[illegible]
22:45	690	ოლიმპია-ხუვენტუდი	2.00	12.00	1.60	1.71	[illegible]	[illegible]
23:45	691	ბენეტონი-ნაპოლი	1.15	12.00	4.00	1.04	1.00	3.00
23:45	692	ბარსელონა-არისი	1.05	12.00	6.00	1.00	1.00	4.00
		იტალია. თასი						
		6 დეკემბერი						
23:45	372	ჯენოა-ემპოლი	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
23:45	373	ლივორნო-არეცო	1.30	4.30	10.00	1.00	1.15	3.00
		7 დეკემბერი						
23:45	374	პარმა-ნაპოლი	2.25	2.90	3.20	1.26	1.32	1.52

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10360	ანდერლეხტი-აეკ	2.90	2.00	3.30	1.18	1.54	1.24
10361	დინამო კ-რეალი	3.20	2.00	2.90	1.23	1.52	1.18
10363	კოპენჰაგენი-სელტიკი	3.20	2.00	3.00	1.23	1.54	1.20
10364	ჰამბურგი-ცსკა	3.35	2.00	2.85	1.25	1.53	1.17
10365	ლიონი-სტიაუა	1.55	2.90	8.00	1.01	1.29	2.12
10367	მანჩესტერი-ბენფიკა	1.65	2.60	7.50	1.00	1.35	1.93
10369	მილანი-ლილი	2.45	2.10	4.00	1.13	1.51	1.37

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11360	ანდერლეხტი-აეკ	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11361	დინამო კ-რეალი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11363	კოპენჰაგენი-სელტიკი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11364	ჰამბურგი-ცსკა	4.60	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	10.00	3.30
11365	ლიონი-სტიაუა	1.65	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	11.00	11.00
11367	მანჩესტერი-ბენფიკა	1.80	13.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11369	მილანი-ლილი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12360	ანდერლეხტი-აეკ	1.60	2.00
12361	დინამო კ-რეალი	1.70	1.90
12363	კოპენჰაგენი-სელტიკი	1.60	2.00
12364	ჰამბურგი-ცსკა	1.60	2.00
12365	ლიონი-სტიაუა	1.90	1.70
12367	მანჩესტერი-ბენფიკა	1.70	1.90
12369	მილანი-ლილი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13360	ანდერლეხტი-აეკ	1.70	1.90
13361	დინამო კ-რეალი	1.70	1.90
13363	კოპენჰაგენი-სელტიკი	1.70	1.90
13364	ჰამბურგი-ცსკა	1.70	1.90
13365	ლიონი-სტიაუა	1.90	1.70
13367	მანჩესტერი-ბენფიკა	1.90	1.70
13369	მილანი-ლილი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესრული წაგებულად ითვლება)

14360	ანდერლეხტი-აეკ	1.80	1.90
14361	დინამო კ-რეალი	1.95	1.75
14363	კოპენჰაგენი-სელტიკი	1.90	1.90
14364	ჰამბურგი-ცსკა	2.00	1.80
14365	ლიონი-სტიაუა	1.05	2.90
14367	მანჩესტერი-ბენფიკა	1.06	2.90
14369	მილანი-ლილი	1.70	1.90

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15360	ანდერლეხტი-აეკ	3.00	2.80	2.00
15361	დინამო კ-რეალი	3.00	2.80	2.00
15363	კოპენჰაგენი-სელტიკი	3.00	2.80	2.00
15364	ჰამბურგი-ცსკა	3.00	2.80	2.00
15365	ლიონი-სტიაუა	3.00	2.80	2.00
15367	მანჩესტერი-ბენფიკა	3.00	2.80	2.00
15369	მილანი-ლილი	3.00	2.80	2.00

ზრეს გარეშე (ძირ დრო)

16360	ანდერლეხტი-აეკ	1.70	1.90
16361	დინამო კ-რეალი	1.95	1.65
16363	კოპენჰაგენი-სელტიკი	1.80	1.80
16364	ჰამბურგი-ცსკა	2.00	1.60
16365	ლიონი-სტიაუა	1.04	5.70
16367	მანჩესტერი-ბენფიკა	1.08	5.00
16369	მილანი-ლილი	1.50	2.30

გოლი:წყვილი-10თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17360	ანდერლეხტი-აეკ	1.85	1.95
17361	დინამო კ-რეალი	1.85	1.95
17363	კოპენჰაგენი-სელტიკი	1.85	1.95
17364	ჰამბურგი-ცსკა	1.85	1.95
17365	ლიონი-სტიაუა	1.85	1.95
17367	მანჩესტერი-ბენფიკა	1.85	1.95
17369	მილანი-ლილი	1.85	1.95

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

არცთუ კაი რაპპარაკი

ულრიხს და ბასოს იმას უშლიან, რის გაკეთებასაც არ აპირებენ

ველოსპორტის სამყაროში სამი დიდი რბოლაა. ამათგან ერთი, თავად მრბოლების მიერ „ველოსპორტის ოლიმპად და ეკერესტად“ (გრეგ ლემონდის სიტყვებია) მიჩნეული „ტურ დე ფრანსი“ მაინც გამორჩეულია და ფრანგულ წრეს გვერდში „ჯირო დიტალია“ და „ვუელტა ესპანა“ უდგანან. ეს სამკვირიანი ველოტურებია და მათზე არა თუ გამარჯვება, თუნდაც ერთი ეტაპის მოგებაც კი უპრესტიჟულეს საქმედ ითვლება.

ამ სამ ველომარათონთან სხვა რბოლები ახლოსაც ვერ მიდიან და ამ, შედარებით დაბალრეიტინგიანი შეჯიბრებების ორგანიზატორებს სწორედ ეს უკლავთ გულს. მაგალითად, „გერმანიის ტურის“ დირექტორს კაი რაპს, ვისაც ერთი სული აქვს, თავისი რბოლა ველოსპორტის სამ გველეშაპს ამოუყენოს გვერდით.

„გერმანიის ტური“ აგვისტოში ტარდება, ფრანგულ და ესპანური რბოლებს შორის და, რადგანაც ნათელია, რომ „დიდ მარყუჟად“ წოდებულ „ტურ დე ფრანსს“ ვერაფერს დააკლებს, რაპი პრო-ტურის ორგანიზატორებთან საქმეს იჭერს, რათა ამათი დახმარებით „ვუელტა“ სამი კვირიდან ორ კვირამდე შეკვეცონ და შესაბამისად, გერმანული რბოლის ხანგრძლივობა და პრესტიჟი გაიზარდოს.

ნაკლებად სავარაუდოა, რაპს ამ საქმიდან რაიმე გამოუვიდეს. წამყვანი ველოფედერაციები და ამაზე, უკვე წავიდა ლაპარაკი, უმალ პრო-ტურის სერიას შეაქცევენ ზურგს, ვიდრე „ვუელტას“, ანდა „ჯიროს“. ავსტრიის, ბელგიის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის ველოფედერაციებმა უკვე გამოხატეს თავიანთი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ზოგადად პრო-ტურის სისტემისა და კერძოდ იმასთან დაკავშირებით, რომ პრო-ტურის შეფებმა „ვუელტას“ შემცირების იდეა წამოაყენეს.

რაპი კი თავისას აწვება და სურს, „გერმანიის ტური“ გამორჩეული და განსხვავებული იყოს. საამისოდ მას ახალი იდეა მოუვიდა თავში და ბრძანა, სანამ მე „გერმანიის ტურის“ დირექტორი ვიქნები, იან ულრიხი და ივან ბასო აქაურობას, ანუ ჩემს რბოლას ვერ გაეკარებიანო. „ეს ჩვენი მოვალეობაა, რათა ულრიხმა და ბასომ, რბოლაში მონაწილეობაზე აღარ არის ლაპარაკი და რბოლის მარშრუტის სიახლოვეზე გაჭაჭანებაც კი ვერ უნდა გაბედონ. საამისოდ ყველა არსებულ იურიდიულ მექანიზმს გამოვიყენებ“ — განაცხადა რაპმა.

და, რატომ მაინცდამაინც ულრიხი და ბასო? მოგეხსენებათ, ესპანელი ექიმის ეუფემიანო ფუენტესის ყმადაღებულ დოპინგს კანდალში უამრავი მრბოლის გვარი ფიგურირებდა და ამის გამო ამ მრბოლებმა „ტურ დე ფრანსის“ ჩათვლით, წლევანდელი სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვეს. ახლა სკანდალი ჩაცხრა და ბრალდებულ ველოსიპედისტთა უდიდესი უმრავლესობა რეაბილიტირებულია. სახელიანთაგან ამ წუთისოფლის მხოლოდ ულრიხი არის პროფესიონალური ლიცენზიისა და, შესაბამისად გუნდის გარეშე და იანვარში, როდესაც შვეიცარიის ველოფედერაცია სავარაუდოდ ულრიხზე ლიცენზიას გასცემს, გუნდიც გამოჩნდება. ასე რომ, ეჭვები ფაქტობრივად აღარ არის, მაგრამ რაპი თავისას გაიძახის, რადგანაც ულრიხი და ბასო მყვირალა სახელებია — ულრიხი 1997 წლის „ტურის“ გამარჯვებული და ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონია. ხოლო ბასო შარშანდელი „ჯიროს“ ტრიუმფატორი და ასეთ მრბოლებზე თავდასხმით ცდილობს რაპი თავისი შეჯიბრისთვის სახელის გაკეთებას, აქაოდა ჩვენ ყველაზე სუფთად ვთამაშობთ, ავტორიტეტებსაც არ ვცნობთ და უკეთეს ხვედრს ვიმსახურებთო.

რაპი უბრალოდ დემაგოგობს და თავისი რბოლის პროპაგანდას ეწევა. სხვამ თუ არავინ, მან ხომ მშვენივრად იცის, რომ არც ულრიხის და არც ბასოს საგაისო გეგმებში „გერმანიის ტური“ არ შედის. თუ ულრიხი კონკურენტუნარიან გუნდში მოეწყობა, მიეცს აქცენტს ფრანგულ სუპერრბოლაზე გააკეთებს, ბასოს კი, რომელმაც ამერიკული „დისქავერის“ სახით უკვე მოძებნა ამბიციური და ძლიერი ველოგუნდი, „ჯიროსა“ და „ტურის“ წყვილად მოგება სწადია. ასე რომ, რაპი მხოლოდ წყალს ნაყავს და იმას ცდილობს, იქნება ამ ნაყვაში წყალი აიმღვრეს და მსხვილი თევზი დავიჭიროთ.

გია მუჯირი

თბილისში ვებს ველით

ჩია ვარსკვლავი ქართულ ოლ სტარს ნახავს

აი, ამბავი: სპად ვები საქართველოში ჩამოდის. მართალია, მისი ვიზიტი გაზაფხულზე იგეგმება, მაგრამ ნბა-ს ერთ-ერთი კოლორიტული მოთამაშე რომ თბილისში აუცილებლად ჩამოვა, ამის საფუძველს საქართველოს სუპერლიგის მენეჯერის ნიკა ხომასურიძის მიერ წამოწყებული მოლაპარაკებები იძლევა.

„სპად ვების საგენტოსთან მოლაპარაკებები თითქმის დასრულებულია. უკვე შედგენილია კონტრაქტი, რომლის პირობებზეც ვები თანახმაა და უახლოეს ხანში მე ამერიკაში ჩავალ, რათა მისი თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით სარეკლამო კლიპი გადავიღო — გვითხრა ნიკა ხომასურიძემ — სპად ვები კლიპში ქართულად იტყვის ჩვენს სლოგანს: „ჩვენ ვირჩევთ სუპერლიგას“.

ვები თბილისში აპრილის ბოლოს ჩამოვა და ქართულ ყველა ვარსკვლავის მატჩს დაესწრება. როგორც სუპერლიგის მენეჯერმა გვამცნო, სპადი თბილისში ვარჯიშებს გამართავს როგორც მოქმედი, ისე დამწყები კალათბურთელებისთვის, დაესწრება ოლ სტარს და ჩატენვების კონკურსის გამარჯებულს დააჯილდოებს.

სუპერლიგის მესვეურნი ახლა იმ კომპანიებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, რომელთაგან ერთ-ერთმა სპად ვების ჩამოსვლა უნდა დააფინანსოს. ამიტომაც, სანამ სპონსორის ვინაობა არ გაირკვევა, სუპერლიგას არ სურს, კოლორიტული კალათბურთელის ჩამოსვლის ამბავი გაახმაუროს. ხომასურიძის თქმით, ამ საქმეში ორი სოლიდური კომპანია ფიგურირებს, რომელთაგან ერთი აუცილებლად დააფინანსებს სპად ვების თბილისში ჩამოსვლას.

კონტრაქტში არაა ჩაწერილი, მაგრამ შესაძლებელია, სპად ვებმა ჩატენვების კონკურსის დროს ერთი საჩვენებელი ილეთი შეასრულოს, ის ხომ ჩატენვის დიდოსტატია.

ვების სიმაღლე მხოლოდ 168 სანტიმეტრია, მაგრამ ფენომენალური მოქნილობის წყალობით ის ტოლს არავის უდებდა და ნბა-ს ისტორიაშიც შევიდა: ჭინკა სპად ვები არის ყველაზე დაბალი მოთამაშე, ვისაც ნბა-ს ჩატენვების კონკურსი ოდესმე მოუგია.

სუპერლიგა ვებზე გაცილებით სახელიანი მოთამაშეების ჩამოყვანას აპირებს სეზონის დასასრულისთვის, როცა ჩემპიონი გამოვლინდება და საუკეთესოთა დაჯილდოვების ჯერი დადგება. ამასთან დაკავშირებით ხომასურიძე ჯერ არაფერს ამბობს, რადგან ამ პროექტის განხორციელება სპად ვების ჩამოსვლასთანაა დაკავშირებული. თუ მფრინავი სპადის ვიზიტი კარგად ჩაივლის, მაშინ უფრო სერიოზულ პროექტებზეც შეიძლება მუშაობა, გვითხრა ნიკა ხომასურიძემ საუბრის დასასრულს.



ვარაამ დოლიძე/ბვსელის ფოტო

ნიკა ხომასურიძეს თბილისში სპად ვები ჩამოჰყავს

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი



ჯერი სლოუნი

ჯერის ჯერიც დადგა

დალასმა დუჭინი იკმარა

4 დეკემბერი

იუტა 101:88 მილუოკი

იუტა: ბუზერი (30 ქულა, 13 მოხსნა), ოქური (17 ქულა, 13 მოხსნა), კირილენკო (14)

მილუოკი: ბელი (23), რედი (18)

ვაშინგტონი 106:97 დალასი

ვაშინგტონი: არენასი (38), ჯემისონი (20 ქულა, 12 მოხსნა), ბატლერი (14)

დალასი: ნოვიცკი (27), ჰარისი (14), სტეკჰაუსი (14), ჯორჯი (14)

ლეიკერსი 101:87 ინდიანა

ლეიკერსი: ბრაიანტი (21), ბრაუნი (17), ოდომი (15 ქულა, 13 მოხსნა)

ინდიანა: ონილი (18 ქულა, 11 მოხსნა), იასიკევიჩუსი (17), გრეინჯერი (15)

საკრამენტო 89:92 ორლანდო

საკრამენტო: ბიბი (19), მარტინი (16), სალმონსი (16)

ორლანდო: ჰოვარდი (19 ქულა, 16 მოხსნა), ნელსონი (14), თურქოღლუ (14)

ჩიკაგო 100:82 ბოსტონი

ჩიკაგო: ნოჩიონი (20), დენგი (14)

ბოსტონი: ალენი (20), გომესი (19)

ნიუ იორკი 98:90 მემფისი

ნიუ იორკი: კარი (26 ქულა, 16 მოხსნა), რიჩარდსონი (20), ლი (20)

მემფისი: უორიკი (19), სვიფტი (14), მილერი (14)

სან ანტონიო 199:89 გ. სტეიტი

სან ანტონიო: ბერი (18), უდრიჰი (16), დანკანი (15)

გოლდენ სტეიტი: ჯეფერსონი (21)

ეს მეორე სეზონია, „იუტა ჯაზი“ სისხლს უშრობს „მილუოკი ბაქსს“, შინაც უგებს და გარეთაც. არადა, ერთი შეხედვით, ეს გუნდები ერთმანეთის ტოლები არიან, უფრო მეტიც, წინა საზონში „მილუოკი“ პლეი ოფში გავიდა, „იუტა“ კი 16 რჩეულს შორის ვერ მოხვდა. ამ ერთი კვირის წინ შინაურ ჯახში მილუოკელმა ზემექულე მაიკლ რედმა 57 ქულა აძგერა „ჯაზმენებს“, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. „იუტამ“ ის თამაში 113:111 მოიგო, სოლტ ლეიკ სიტიში განმეორებით შეხლაში კი გაცილებით უმტკივნეულოდ მოუთავა ხელი.

ამჯერად „მილუოკის“ შანსიც არ მისცემია, რაკიღა „ჯაზმენებმა“ ლიდერი გამოუკლეს ბრძოლას. არც თვალში უტაკებიათ თითი და არც ვერაგული იდაყვი უთავაზებიათ, უბრალოდ, ხელი არ გაანძრევინეს და გაჩერდა ლიდერგაყუჩებული „მილუოკი“. წლეულს მატჩში საშუალოდ 30 ქულაზე ცოტა მეტის მკეთებელმა და ბომბარდირთა სიაში დენვერელი კარმელ ენტონის შემდეგ მეორე კაცად ჩაწერილმა რედმა ეს მატჩიც მხნედ დაიწყო და პირველი ტაიმი 16-ქულიანი აქტივით რომ ჩაამთავრა, ყველა გარეშე მაყურებელი მისგან ქულათა მრრიგ ფეიერვერკს ელოდა, მაგრამ მეორე ტაიმში რედი თავისზე ოდნავ დაბალი დერეკ ფიშერისა და ოდნავ მაღალი ანდრეი კირილენკოს გარემოცვაში სავსებით ჩაიკარგა და თავის მონაგარს ერთადერთი ორქულიანი წაამატა. უკვე პირველ ტაიმში 11 ქულით დაწინაურებულმა „იუტამაც“ მესამე მეოთხედი ერთი ამდენით მოიგო და შეხვედრა ნებიერად მიიყვანა სასურველ დასასრულამდე.

„ჩემმა ბიჭებმა ყველა მითითება შეასრულეს და საერთოდ, ყველაფერი გააკეთეს, რედისთვის ფრთები რომ შეეკვეცათ“ — ნამატჩევს ჟურნალისტებს უხსნიდა „ჯაზის“ ღვაწლმოსილი თავკაცი ჯერი სლოუნი.

თავად სლოუნისთვის ეს გამარჯვება კარიერაში 999 იყო 662 მარცხის წილ. რამდენიმე დღეში ის ერთ თამაშსაც მოიგებს და ნბა-ს ისტორიაში მეხუთე კაცი გახდება, რომელმაც თავის გუნდებს 1000 თამაში მოაგებინა.

მოგებული მატჩების დაუსრულებელი სერია „დალასმა“ დეტროიტში დაასრულა. „ვაშინგტონი“ საუკეთესო კი არა, კარგ ფორმაშიც კი ვერაა, მაგრამ ეს ერთი მატჩი რიგიანად ჩაატარა და გამარჯვებებით დაღლილ ვიცე-ჩემპიონს მიჯრით მოგებული 12 თამაშის შემდეგ პირველად ამწარა მარცხი. იყოჩაღეს „ვაშინგტონის“ ოლსტარელმა და ნაკრებელმა ლიდერებმა — ჯილბერტ არენასმა და ანთაუნ ჯემისონმა, ხოლო კიდევ ერთმა წამყვანმა მობურთალმა კერონ ბატლერმა 9 მოხსნასა და 7 პასთან ერთად 14 ქულა გაახერხა და ნბა-ს იმ მოთამაშეთა მოკლე ჩამონათვალში დარჩა, რომლებმაც მიმდინარე სეზონის უკლებლივ ჯერ ლა მატჩში 10 და მეტი ქულა გაჩარხეს.

კოტე ყორშია

კვირის მოთამაშეები

აღმოსავლეთი

მაიკლ რედი (მილუოკი)



დასავლეთი

კარმელო ენტონი (დენვერი)

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ნბა-მ მიმდინარე სეზონის პირველ-მეორე ბომბარდირები დაასახელა — დენვერელი კარმელო ენტონი და მილუოკელი მაიკლ რედი.

ორივენი თავიანთი გუნდების უპირობო ლიდერები არიან. ეგაა, ენტონის გუნდი რედისაზე წარმატებით აგროვებს გამარჯვებებს. ეს ზოგადად, კონკრეტულად წინა კვირაში კი „დენვერმაც“ და „მილუოკიმაც“ სამ-სამი შეხვედრიდან ორ-ორი მოიგეს. ენტონიმ თავის წილ 3 თამაშში საშუალოდ 36,7 ქულა, 5,2 მოხსნა და 4,3 პასი აკეთა, მაიკლ რედის მონაგარმა კი 30,4 ქულა, 3,8 მოხსნა და 2,1 პასი შეადგინა.

კვირის სიმბოლური ხუთეული: დუეინ ვეიდი (მაიამი), მაიკლ რედი (მილუოკი), კარმელო ენტონი (დენვერი), კარლოს ბუზერი (იუტა), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

ტატამი საზღვრებს გარეშე

ხაბარელმა მძიმეები სიმძიმეს აარიდა

მეორე კვირაა, თბილისში საფრანგეთის ძიუდოისტთა ნაკრებია ჩამოსული და საქართველოს ნაკრებთან ერთად შეკრებას გადის. ერთობლივი ვარჯიშები თბილისის სპორტის სამმართველოს გივი კარტოზიას სახელობის დარბაზში ტარდება. შოთა ხაბარელმა ფრანგულ ათეულს ოთხმოცზე მეტი შეგირდი დაახვედრა. ნაკრების ტიტულუხვი ლიდერებისა და საერთაშორისო დონეზე ცნობილი სტუმრების მხარდამხარ დაბალი ასაკობრივი ნაკრებების წევრები და კანდიდატებიც ემზადებიან

ძირითადი შემადგენლობიდან ერთადერთი, ვინც ერთობლივ წვრთნებში არ ჩართულა, დავით ქევხიშვილია. ევროპის პრიზიორი ქართველი ნოპერაციევ მუხლს ვერაც იშუშებს და როგორც გუშინ მისმა პირადმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ გვითხრა, სრული დატვირთვით მხოლოდ იანვრიდან ივარჯიშებს. ევროპის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმა კი შეკრება ნაადრევად დაასრულა. პირველივე დღეებში თავის ძველ მეტოქესთან ბენჟამენ დარბალესთან ჭიდაობისას მხრის ტრავმა მიიღო და ინდივიდუალურ სავარჯიშო გრაფიკზე გადაერთო.

საქართველოს ნაკრების თავკაცმა გუშინ მძიმეწონოსნები ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი და ადამ ოქრუაშვილი სხვებზე ნაკლებად დატვირთა. ეს სამეული 8 დეკემბერს ბუქარესტში, ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატზე საჭიდაოდ მიემგზავრება. ფრანგები კი სამშობლოში 7 დეკემბერს დაბრუნდებიან. შეკრება სწორედ ხვალ სრულდება.

შოთა ხაბარელი: „თუ ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატს არ ჩავთვლით, საერთაშორისო სეზონი უკვე დასრულებულია. ჩასატარებული მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატი დარჩა და ამ ერთობლივ ვარჯიშებს ბიჭები მისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ. 17-18 დეკემბერს დაგეგმილი შეჯიბრის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება სამომავალწლო ნაკრების ჩამოყალიბებაში. მოგეხსენებათ, 2007 წელს პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების დარიგება იწყება.

...საფრანგეთი უძლიერესი შემადგენლობითაა ჩამოსული. თავად განსაჯეთ, დარბალე ევროპის ვერცხლის პრიზიორია, კრისტოფერ ჭუმბერტი (100კგ) — ევროპის ჩემპიონი, ხოლო ენტონი როდრიგესი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. სამწუხაროდ, სტუმართა სიას ბოლო მომენტში გამოაკლდა ფრედერიკ დემონფოკო (90კგ). ოლიმპიური ჩემპიონი თბილისში ტრავმამ არ გამოუშვა, ისევე როგორც მძიმეწონოსანი პიერ რობენი".

ნავარჯიშევს დარბალესაც გამოველაპარაკეთ. 66 კილოგრამი წონითი კატეგორიის ერთ-ერთმა უძლიერესმა ძიუდოისტმა წლეულს ევროპის ჩემპიონატის ფინალში ზაზა კედელაშვილთან წააგო და თბილისში ალბათ მცირე რევანშისთვისაც ჩამოვიდა:

„კედელაშვილს კარგად ვიცნობ. არაერთხელ გვიჭიდავია. ბოლო შეხვედრა წავაგე და ევროპული ოქროც თქვენებურს დარჩა. ვწუხვარ, რომ მასთან ვარჯიშისა და ხშირი სპარინგ-შეხვედრების შანსი ხელიდან გამომეცალა. ქართული მასპინძლობით და ერთობლივი მზადებით კი ძალიან კმაყოფილი ვარ. იმედია, ეს თბილისური შეკრება საქართველოს და საფრანგეთის ნაკრებებს სასიკეთოდ წაგვადება".

ოთარ მაღლაკელიძე

ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲙᲐᲛᲘᲚᲚᲔᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დეფიციტი, რომლის აღმოფხვრაც მხედრულ თერაპიას ძალუძს

ქართული კლასიკური ცხენოსნობის ვეტერანი, რაიტთერაპიის (მხედრული თერაპიის) თეორიულ-პრაქტიკული გზების გამკვალავი *დიმიტრი წვერავა* ჭაბუკობაში ქირურგობაზე ოცნებობდა. ეს მაშინ (50-იანი წლების დასაწყისში) ახალგაზრდა მედიკოსების ჩვეული გატაცება იყო — უდიდესი ომის დამთავრების შემდეგ და, საერთოდაც, ქირურგია მკურნალობის ყველაზე ქმედით სპეციალობად აღიქმებოდა; თანაც დასტაქრობა ნებისყოფის სიმტკიცეს, უშუალოდ ხელისა და თვალის პროფესიულ დახელოვნებას, გაწაფულობას გულისხმობს (სპორტული ბედაურის დახვეწილ მართვას ნაჩვევი მხედრისთვის ეს პრეტენზიაც არ იყო უცხო). მაგრამ ამ დასპეციალებას პრაქტიკის გავლა სჭირდებოდა. ჩვენთან ასეთი ადგილი არ აღმოჩნდა. განაწილებისას შესთავაზეს, მიმართა სსრკ გზათა სამინისტროსათვის, რომელიც ქალაქ მურმანსკში სთავაზობდა ქირურგის სამუშაოს. მაგრამ მოსკოვში ჩასულს მურმანსკში კი არა, კოლის ნახევარკუნძულზე რომელიღაც სარკინიგზო ბაქნის საექიმო პუნქტში დაუპირეს გამწესება. როცა იუარა, სამინისტროს კადრების გამგემ, გადამდგარმა გენერალმა ფეხები დაუბრაგუნა: „რატომ არ გინდათ, გაიგოთ ამ ქართველებმა, რომ სულაც არაა თქვენი პრივილეგია კურორტზე — საქართველოში ცხოვრება, წადით და თქვენც დასახლდით მარადი გამყინვარებისა და პოლარული ღამის ზონაში. მაინცდამაინც ეტაპით უნდა გაგგზავნოთ იქ?!" ბედად ადრე, ომის წლებში, თბილისის „სპარტაკის" საცხენოსნო სკოლის მწვრთნელმა იგორ კოვრიგამ და საქართველოს ცხენოსნობის უდიდესმა მოამაგემ, მილიციის გენერალ-მაიორმა კაპიტონ ნაჭყებიამ დაიხსნეს და „კურორტზე" დაბრუნებულს ნაჭყებიამ სამედიცინო ფიზკულტურის რესპუბლიკურ დისპანსერში უშოვა ადგილი.

აქედან ჩაეყარა საფუძველი საქართველოში საცხენოსნო თერაპიის დარგს. ამჟამად თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორი, საქართველოს სპორტული მედიცინის და ფიზიკური კულტურის, აგრეთვე რაიტთერაპიის ფედერაციების პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი წვერავა იპოთერაპიის (ასეც უწოდებენ ამ დარგს — მხედარს ცხენი ენაცვლება), დიახ — იპოთერაპიის მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია მეცნიერებისა და მედიცინის დარგში.

— მხედრული თერაპიის ფართო გავრცელება ცნობილია; ქართული სკოლის აღიარებაც არაა ახალი ამბავი, მაგრამ მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობას აქამდე მაინც ნაკლებად ვიცნობდით.

— ამ ფედერაციის შტაბ-ბინა ავსტრალიაშია. მას მართავს კომიტეტი, რომელშიც პრეზიდენტი, 4 ვიცე-პრეზიდენტი და სხვა წევრები შედიან. ერთი კვირის წინ ინტერნეტით გაიმართა კომიტეტის ერთდროული კონფერენცია. გაისად, აპრილში, ფინეთში ჩატარდება კომიტეტის სხდომა, სადაც ვრცლად წარმოვადგენთ ჩვენეულ ხედვას და გეგმებს მომავალი მუშაობისთვის.

— საკუთრივ საქართველოს ფედერაცია თუ იქნება ჩართული ამ საქმიანობაში?

— მერმის შემოდგომაზე (სექტემბერსა ან ოქტომბერში) თბილისში გაიმართება მსოფლიო კონფერენცია, რომლის მიზანი იქნება რაიტთერაპიის დაკავშირება ისეთ მძიმე მოვლენასთან, როგორიცაა ბავშვებში ყურადღების დეფიციტის სინდრომი.

— სინდრომი დღეს იმდენია, რომ ზოგიერთის არცოდნა გვეპატიება კიდეც...

— შეიძლება ზუსტი სამედიცინო კვალიფიკაციით არ იცოდეთ, მაგრამ ეს დაავადება პრაქტიკულად ყველასთვის ცნობილია. ამ სინდრომის მქონე ყმაწვილები, სამწუხაროდ, ბევრნი არიან. სამედიცინო ლიტერატურაში მათი რაოდენობა 5-იდან 10 პროცენტამდე მერყეობს. ზოგი ავტორი მეტსაც ასახელებს. 3-6 წლამდე ბავშვებში ამ სინდრომის არსებობა შეიძლება ჩვეულებრივ ამბადაც მივიჩნიოთ. 7 წლის ზემოთ კი მისი არსებობა სერიოზული პრობლემაა. რა არის მისი არსი? ყმაწვილი ვერ განასხვავებს მთავარ მოვლენას მეორეხარისხოვანისაგან, უჭირს რაიმე საქმის კეთება, დაწყებულის ბოლომდე მიყოლა, ერთთავად ცქმუტავს, ხმაურობს, სკოლაში ხელს უშლის მასწავლებელსაც, თანაკლესელებსაც; თავისი „უზნეობის", გამოხდომების გამო ნიადაგ შენიშვნების ობიექტია, ხშირად ისჯება კიდეც. ჯერ იგი გრძნობს, რომ მისი საქციელი ცუდია, მაგრამ ვერაფერს შველის და თანდათან მისთვის ეს საბედისწერო „გამორჩეულობა" თავმოსაწონიც ხდება.

— მერე ასეთი ბავშვი მაინცდამაინც ცხენზე უნდა შეავსვათ?

— რა თქმა უნდა! ამ სინდრომის სამკურნალოდ იხმარებოდა და ახლაც იხმარება მედიკამენტები. ბოლო გამოკვლევების თანახმად ეს მეთოდი მავნე ყოფილა — მრავალი თანმხლები მოვლენის გამო, რომლებიც უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე. აქ ყველაზე ეფექტურია პრევენციული ზომები; კერძოდ, უებარი საშუალებაა ცხენოსნობის ისეთი სახეობანი (მაგალითად, ვოლტიჟირება, გაწვრთნილობის ანბანი), რომლებიც მოითხოვენ დიდ ყურადღებას, სხეულის მაქსიმალურ დაძაბვას. არა მარტო მოითხოვენ, არამედ სპეციფიკის გამო თვითონ განაწყობენ ბავშვის მთელ არსებას ასეთი მოქმედებისათვის. მაგრამ მე ამ შემთხვევაში, იმედია, ჩვენი დარგის ღალატს არ მოვმაწერენ, ყურადღებას გავამახვილებ, ამ საქმისათვის სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების უდიდეს მნიშვნელობაზე, კერძოდ, სამწყობრო ვარჯიშების, ტანვარჯიშის როლზე.

— მერე როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ დღევანდელ სკოლებში, იცით ეს საკითხი?

— ვიცი, როგორც სამედიცინო სპორტის მუშაკმა და შვილიშვილების პატრონმა. საერთოდ, დღეს სკოლებში საგნების მიმართ დიფერენცირებული მიდგომაა, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. ამიტომაც არის, რომ ბევრ სკოლაში ფიზიკური აღზრდის სრულფასოვანი გაკვეთილები არ ტარდება, და თუ ტარდება, მხოლოდ თამაშზე აქვთ აქცენტი გადატანილი (ისიც ძალზე მცირე ხნით!). არადა, ბავშვის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ერთ-ერთი ძირითადი დისციპლინა ფიზიკური აღზრდა უნდა იყოს.

— ეს ცალკე თემაა. მით უმეტეს, რაიტთერაპიის სკოლებში დანერგვა საკმაოდ საძნელო საქმეა.

— სამაგიეროდ არსებობს საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სპორტული სკოლა. ეს სკოლა თავიდანვე ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა. აქ გავატარეთ სქოლიოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის ის მეთოდიკა, რომლის თანახმადაც ცხენოსნობას მივმართავდით არა მხოლოდ როგორც სამკურნალო ფიზკულტურის ფორმას, არამედ — როგორც სპორტს, ამ ცნების პირდაპირი მნიშვნელობით. ახლაც დიდი იმედი გვაქვს ამ სკოლისა, მიუხედავად იმისა, რომ მას დღეს თავისი მძიმე პრობლემები აქვს. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ფედერაციაც ხომ რაღაცას ნიშნავს.

ნოდარ ეგრალიძე

სამ ნაბიჯში დანახული მსოფლიო

ნაკრებთა რეიტინგებს რუსები ლიდერობენ

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების კაპიტანი გელა ელერდაშვილი და ლიდერი ირაკლი ლაბაძე

მოსკოვში დევისის თასის ფინალი ჩათამაშდა და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 2006 წლის შედეგები შეაჯამა — სადევისთასო, ანუ ნაკრებთა რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელსაც სათავეში, ბუნებრივია, დევისის თასის მფლობელი რუსეთი უდგას, ხოლო მეორე ადგილზე ფინალში ძლეული არგენტინელები არიან.

საქართველო რეიტინგში 41-ეა და მხოლოდ ორი ადგილით ჩამორჩება პორტუგალიას, ვისაც თებერვალში, დევისის თასის 2007 წლის გათამაშების ევროაფრიკული ზონის I ჯგუფის მატჩში უმასპინძლებს.

თუ მარტო ევროპულ ქვეყნებს ავიღებთ, გელა ელერდაშვილის გუნდი 21-ე ადგილზეა, ხოლო ევროაფრიკული გადასახედიდან — 22-ე, რადგანაც ზუსტად ჩვენს წინ, მე-40 ადგილზე მაროკოს ნაკრები იმყოფება.

ის, რომ საქართველოს ნაკრების საგაისო სადევისთასო კამპანიას პორტუგალიასთან თბილისური მატჩით დაიწყებს, კარგა ხნის გარკვეულია და ისიც ცნობილია, რომ აქ გამარჯვების შემთხვევაში ჩვენები რეიტინგში მე-20 ადგილზე მყოფ სერბების მძლავრ გუნდს დაუპირისპირდებიან. აი, თუ ქართველებმა იქაც ივარგეს, მერე მსოფლიოს ლიგაში გადასასვლელი პლეი ოფი იქნება და მეტოქედ საგაისო მსოფლიო ლიგის პირველ ეტაპზე, ანუ მერვედფინალში დამარცხებული ერთ-ერთი ნაკრები გვეყოლება.

მომავალი წლის მსოფლიოს ლიგის მერვედფინალში კი ელიტარული გუნდები ასე არიან დაწყვილებულნი:

ჩილე — რუსეთი
საფრანგეთი — რუმინეთი
გერმანია — ხორვატია
ბელგია — ავსტრალია
ჩეხეთი — აშშ
შვეიცარია — ესპანეთი
ბელარუსია — შვედეთი
ავსტრია — არგენტინა

ისევე, როგორც საქართველო და პორტუგალია, ზემოთ ჩამოთვლილი წყვილებიც 9-11 თებერვალს გაარკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას. ისე, დიდი შანსია, რუსებმა ახლახანს მოპოვებული დევისის თასი უკვე თებერვალში რომ დაკარგონ, რადგანაც ჩილელები მათ ხალიჩას ნამდვილად არ გაუშლიან, თიხნარს დაახვედრებენ და ამ საფარზე კი ფერნანდო გონსალესთან და ნიკოლას მასუსთან სტუმრად ჭიდაობა იოლი ნამდვილად არ იქნება. აი, ჩვენ კი პორტუგალიას, სწორედ სწრაფი ხალიჩა უნდა დავახვედროთ, რადგანაც ირაკლი ლაბაძისა და ლადო ჩიხლაძის კოზირი მძლავრი მოწოდებაა და ნელი თიხის მოყვარულ პორტუგალიელებს გვარიანი პრობლემები შეექმნებათ.

აქვე ბარემ ქალთა, ანუ ფედერაციის თასის კლასიფიკაციაზეც ვთქვათ, რომლის სათავეშიც, რაც უნდა საკვირველი იყოს, აგრეთვე რუსები არიან, ხოლო წლევანდელი ტურნირის გამარჯვებულებსა და ფინალისტებს — იტალიელებსა და ბელგიელებს, შესაბამისად, მხოლოდ მეორე და მეოთხე პოზიციები უკავიათ.

საქართველო ამ რეიტინგში 52-ე ადგილზეა და ფედერაციის თასის საგაისო გათამაშებას წლევანდელის დარად ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში, ჯგუფურ ეტაპზე დაიწყებს.

ნაკრებთა რეიტინგები

კაცები	ქალები
1. რუსეთი ---------- 27192,5	1. რუსეთი ---------- 27860,0
2. არგენტინა ------ 21333,8	2. იტალია ---------- 21690,0
3. ხორვატია ------- 20545,6	3. საფრანგეთი ---- 21247,5
4. ესპანეთი -------- 15237,5	4. ბელგია ---------- 14592,5
5. ავსტრალია ------ 13750,0	5. აშშ ---------- 11442,5
6. აშშ ---------- 13250,0	6. ესპანეთი -------- 10957,5
7. სლოვაკეთი ----- 10251,3	7. ჩინეთი ---------- 5822,5
8. საფრანგეთი ----- 8125,0	8. იაპონია ---------- 5767,5
9. ბელარუსია ------- 6698,1	9. ავსტრია ---------- 5030,0
10. შვეიცარია ------ 4929,7	10. კანადა ---------- 3995,0
11. ჩილე ---------- 4022,5	11. გერმანია -------- 3675,0
12. შვედეთი -------- 4000,0	12. ხორვატია ------- 3620,0
13. რუმინეთი ------- 3368,8	13. ჩეხეთი ---------- 3610,0
14. ჰოლანდია ------ 3195,3	14. ისრაელი -------- 3487,5
15. ჩეხეთი ---------- 3000,0	15. სლოვაკეთი ----- 3407,5
16. ბელგია ---------- 2956,3	16. ავსტრალია ----- 3230,0
17. გერმანია -------- 2846,9	17. ბრაზილია ------- 2447,5
18. ავსტრია --------- 2810,0	18. შვეიცარია ------ 2400,0
19. ტაილანდი ------ 2140,0	19. ინდონეზია ------ 2276,5
20. სერბეთი -------- 1963,8	20. ტაილანდი ------ 2236,5
23. იტალია ---------- 1692,5	24. სერბეთი -------- 1902,5
26. ბრიტანეთი ----- 1337,5	26. უკრაინა --------- 1630,0
32. ისრაელი -------- 1035,9	28. სლოვენია ------- 1577,5
34. ლუქსემბურგი ---- 997,8	30. ჰოლანდია ------ 1510,0
39. პორტუგალია ----- 816,3	34. ესტონეთი ------- 1160,0
41. საქართველო --- 631,3	52. საქართველო --- 527,5

დიდი იყო, განადიდეს

ქართველია, რუსად ცნობენ

ალექსანდრე მეტრეველი ფრანჩესკო რიჩი-ბიტისა და დიდების დარბაზის ძველი წევრების ნილ ფრეზერისა და იან კოდეშის კომპანიაში

დიდი ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი საერთაშორისო ჩოგბურთის დიდების დარბაზში აირჩიეს. აქ, მის სამშობლოში, გული იმაზე დაგვწყდება, რომ ამჟამად მოსკოვში მცხოვრებ მეტრეველს ეს პატივი სწორედ რუსეთის სახელით ხვდა. საერთაშორისო საჩოგბურთო ფედერაციის პრეს-რელიზში ასეც წერია — „რუსი ალექს მეტრეველი არჩეულ იქნა ჩოგბურთის დიდების დარბაზში“.

სამწუხაროც ესაა, რომ საბჭოთა კავშირის ყველა დროის უძლიერეს ჩოგბურთელს საჩოგბურთო მსოფლიო რუსად უფრო იცნობს, ვიდრე „ჯორჯიელად“.

ალექსანდრე მეტრეველი დიდების დარბაზის წევრის სტატუსით საზოგადოებას პირველად 3 დეკემბერს მოსკოვში წარუდგა, როცა დევისის თასის ფინალში რუსეთის და არგენტინის ნაკრებები ხვდებოდნენ. ქართველი ჩოგბურთელი ხალხს წარუდგინა ITF-ს პრეზიდენტმა ფრანჩესკო რიჩი-ბიტიმ. „მე ბედნიერი ვარ, რომ ალექს მეტრეველის თქვენთვის წარდგენის პატივი მხვდა წილად — საზეიმოდ განაცხადა სინიორ რიჩი-ბიტიმ — ალექსი გახლავთ დევისის თასის მონაწილეთა შორის ერთ-ერთი უდიადესი ჩოგბურთელი, რომელიც ძალიან დიდხანს წარმატებით წარმოადგენდა საბჭოთა კავშირს“.

ალექსანდრე მეტრეველის ერთერთი ყველაზე დიდი მიღწევა 1973 წელს უიმბლდონის ფინალში გასვლა გახლავთ, თუმც ის წლების განმავლობაში ცნობილი იყო, როგორც საბჭოთა კავშირის სადევისთასო ნაკრების ლიდერი და გამწევი. ნაკრებში ის 14 წელი შესამჩნევი წარმატებით თამაშობდა — მონაწილეობა მიიღო 38 სერიის 105 მატჩში და აქედან 80 მოიგო და 25 წააგო. მას ეკუთვნის საბჭოეთის ყველა ნიშანდობლივი რეკორდი — 14 წელი თამაში, ერთეულთა თანრიგში მოგებული 56 შეხვედრა, წყვილებში მოგებული 24 და ჯგუფში მოგებული 80 მატჩი. წყვილებში მოპოვებული 24 გამარჯვებით ის უტოლდება სერგეი ლიხაჩევს, რომლის გვერდითაც არაერთხელ უთამაშია, თუმც უფრო ხშირად ის თანამემულესთან, აწ განსვენებულ თეიმურაზ კაკულიასთან დუეტში გამოდიოდა.

საბჭოთა კავშირის დევისგუნდმა ყველაზე დიდ წარმატებებს სწორედ მეტრეველისა და კაკულიას ეპოქაში მიაღწია. ორჯერ გავიდა დევისთასის ნახევარფინალში: პირველად, 1974 წელს საბჭოთა ნაკრები ინდოეთთან დამარცხდა, მეორედ კი სოციალისტურმა იდეოლოგიამ გადაუღობა გზა ფინალისკენ — 1976 წელს გუნდს უარი აიქმევინეს აუგუსტო პინოჩეტის დროინდელი ჩილეს გუნდთან შეხვედრაზე.

კოტე ყორშია

რეკორდები და ერაყული მედალი

AFP დოჰადან

ჰარამ ალი

ყატარის დედაქალაქ დოჰაში აზიური თამაშებია გახურებული და ძალოსან ქალთა შეჯიბრში რამდენიმე მსოფლიოს რეკორდიც დამყარდა. თანაც თავი სახელიანმა ქალებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა გამოიჩინეს.

58 კილოგრამამდე წონის ძალოსანთა შორის ჩინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩენ იანცინმა სულაც სამი მსოფლიოს რეკორდი დამყარა — 111 კგ. აიტაცა, 140 კგ. აჭარა და ორიჭიდის ჯამში 251 კილოგრამი დააგროვა. ძველი მიღწევები აგრეთვე ჩინელებს ეკუთვნოდათ — ატაცში ვან ლის (110 კგ), ხოლო აკვრასა (139 კგ) და ორჭიდში (241 კგ) ჰუ ვეის.

მომდევნო, 63 კილოგრამამდე წონაში კი ათენის ოლიმპიადის კიდევ ერთმა ტრიუმფატორმა, ტაილანდელმა პავინა ტონგსუკმა ივარგა, 142 კილოგრამი აჭარა და ერთი კილოგრამით გააუმჯობესა რუსი სვეტლანა შიმკოვას ძველი რეკორდი, რომელიც წელს, პოლონეთში გამართულ ევროპის პირველობაზე იყო დამყარებული.

არც მსოფლიოს რეკორდი დაუმყარებია და არც ჩემპიონი გამხდარა, მაგრამ კაც შტანგისტთა შორის 77 კილოგრამამდე წონაში ბრინჯაოს მედლის მომპოვებელმა ერაყელმა ჰარამ ალიმ ყველა ჩემპიონსა და რეკორდსმენზე მეტად გაიხარა. ამ სიხარულის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ერაყელ სპორტსმენებს, სპორტის რაგინდარა სახეობაში, აზიური თამაშების მედალი მთელი 20 წელია არ აელოთ და ალიმ ამ უსიამოვნო ტრადიციას მოუღო ბოლო.

„ძვესალმები ერაყის მოსახლეობას. მსურს, რომ ერაყელი ხალხი ბედნიერი იყოს და ვფიქრობ, შეძელი ამის გაკეთება“ — ბრინჯაოსანი ალი სიხარულისგან მოიოლიკ რომ მეცხრე ცაზე დაფრინავდა.

რეგულარული ჩემპიონატი

ლიგის მამებმა ჭერი აწიეს

დალასელთა მეკარემ მარტი ტურკომ არც შაიბა გაუშვა და არც მეტოქე

4 დეკემბერი

მონრეალი 5:6 ბოსტონი

1:2 3:2 1:2

1:0 ლატენდრესი (10), 1:1 მიურეი (17), 1:2 შტურმი (19), 1:3 დონოვანი (22), 1:4 პრიმო (24), 2:4 რაიდერი (25), 3:4 ჯონსონი (35), 4:4 პერეჟოგინი (40), 4:5 სტიუარტი (51), 5:5 სურეი (53), 5:6 სტიუარტი (60)

დალასი 1:0 სან ხოსე

1:0 0:0 0:0

1:0 მოდანო (8)

ვანკუვერი 0:4 ედმონტონი

0:1 0:2 0:1

0:1 ჰორკოფი (9), 0:2 ჩარნკვისტი (21), 0:3 ლუპული (22), 0:4 ტორესი (44)

ფინიქსი 3:2 ნეშვილი

0:1 1:1 2:0

0:1 სალივანი (7), 0:2 რადულოვი (37), 1:2 საპრიკინი (38), 2:2 ჰერო (41), 3:2 ბ. ფიშერი (49)

ნჰლ—ში გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინეს — ამ შვიდდღიან მონაკვეთში თავი განსაკუთრებულად რუსებმა გამოიჩინეს, რადგანაც პირველ და მეორე ვარსკვლავებად შესაბამისად, „ნიუ იორკ აილენდერსის“ ფორვარდი ვიქტორ კოზლოვი და „ჩიკაგო ბლექ ჰოქსის“ მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი დაასახელეს. მესამე ვარსკვლავობა ასევე სლავს, ოღონდ „ატლანტა ტრეშერზის“ სლოვაკ ბომბარდირ მარიან ჰოსას ერგო.

კოზლოვს მართლაც გამორჩეული კვირა ჰქონდა — სამ თამაშში რუსმა 9 ქულა (7+2) მოიხვეჭა და თავის გუნდს კაპიტან ალექსეი იაშინის არყოფნა მაქსიმალურად შეუმსუბუქა. კოზლოვმა განსკუთრებულად თავი ნიუიორკულ დერბიში გამოიდო, როცა „მედისონ სქვერ გარდენში“ „რეინჯერებს“ პოკერი შეუსრულა. წინა დღით კი პიტსბურგში თავის გუნდს ორი გოლითაც შეეწია და ნჰლ-ის ისტორიაში მეხუთეა, ვინც ორდღიან ინტერვალში ექვსი გასვლითი გოლი გაიტანა. აქამდე ასეთი რამ მხოლოდ სტენ მიკიტას (1965), რედ ბერენსონს (1968), დერილ სიტლერსა (1980) და დიად უეინ გრეცკის (1984) გაეკეთებინათ.

ტრავმის შემდეგ მობრუნებულმა ხაბიბულინმა თავის „ჩიკაგოს“ სამი თამაში მოაგებინა და ამ პერიოდში საშუალოდ ორ გოლს უშვებდა და დარტყმების 92,5 პროცენტს იგერიებდა.

ჰოსა კი გასულ კვირას, მართალია, მხოლოდ ორჯერ გავიდა ყინულზე, მაგრამ 8 ქულა (4+4) მაინც დააგროვა, რის შემდეგაც ლიგის მეორე ბომბარდირადაც იქცა 39 ქულით.

გუშინდელი მატჩებიდან კი წყნაროკეანური დივიზიონის ჯახია გამოსაყოფი, სადაც ლიგის ფავორიტად ჩამოყალიბებული ორი გუნდი ერთმანეთს დალასში დაეტაკა. თუმც თამაში საკმაოდ უსახური გამოვიდა, რადგანაც მასპინძლებმა „სან ხოსე შარკსის“ ყველა ვარსკვლავი პირწმინდად ამოეკეტეს, რომლებიც ზვიგენებს კი არა, აკვარიუმის თევზებს უფრო ჰგავდნენ. შედეგად „ვარვსკლავთა“ მეკარე მარტი ტურკომ სეზონში მეორე შაოაუთი გაახერხა, დალასმა კი ლიდერ მაიკ მოდანოს ერთადერთი ზუსტი გასროლით იხეირა.

„ედმონტონ ოილერსმა“ ბოლო მოუღო უიღბლო მატჩების სერიას და ეს ასევე თანადივიზიონელ „ვანკუვერთან“ მოახერხა. დამრიგებელ კრეიგ მაქტავიშის მიერ უსასტიკესად გალანძღული „მენავთობეები“ არც უპირველესი ბომბარდირ რაიან სმიტის არყოფნას შეუშინებია — თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და მეტოქეს უბრალოდ გადაურეს.

დაბოლოს, ერთ სიახლეზეც ვთქვათ — მომავალ წელს ნჰლ-ის კლუბთა საგასახადო „ჭერი“ დაახლოებით 5 პროცენტით გაიზრდება. დღესდღეობით ის 44 მილიონს შეადგენს, ესე იგი, 2007-08 წლის სეზონში 46-47 მილიონს შორის იქნება. ეს ყველაფერი კი ნჰლ-ის შემოსავლების ზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლი ჰქონი, ქვაზე დადე

კლიჩკოებს ქველმოქმედება დაუფასდათ

ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებს „სპორტში იუნესკოს ჩემპიონთა“ წოდება მიენიჭათ კრივში განსაკუთრებული მიღწევების, უსახლკარო ბავშვებისადმი გაწეული მრავაწლიანი დახმარებისა და იუნესკოს მიზნებისა და პრინციპების პროპაგანდისთვის.

მოკლედ, ცნობილ უკრაინელ მოკრივეებს დაუფასდათ ქველმოქმედებაზე გაწეული შრომა და სახსრები — მათი წვლილი თვით გაეროს დააფასა. დიპლომების გადაცემის ცერემონია კი ორშაბათს გაეროს პარიზის ოფისში გაიმართა. მოკრივეებს დიპლომები იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა კოიტირო მაცურამ გადასცა. ცერემონიაში ასევე მონაწილეობდა უკრაინის პირველი ლედი ეკატერინა იუშჩენკოც.

შეგახსენებთ, რომ კლიჩკოები ქველმოქმედებას 2002 წლიდან ეწევიან. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ იუნესკოს მიერ ბრაზილიასა და რუმინეთში განხორციელებულ უსახლკარო ბავშვთა განათლების პროგრამებში, მშობლიურ უკრაინაში კი ბავშვთა დასახმარებლადა და სპორტის განვითარებისთვის რამდენიმე ფონდი დაარსეს.

ვლადიმირ კლიჩკომ არც ახლა „შეირცხვინა“ თავი და ორშაბაოს იუნესკოს გენერალურ დირექტორს 285 ათას დოლარიანი ჩეკი გადასცა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გერმანელები სლოვენიურ ღუდუი ჩაისრჩვნენ

ჩემპიონთა ლიგა. ვაკეები

მერვედფინალი. პირველი მატჩები

მონპელიე (საფრანგეთი) **28:25 ბარსელონა** (ესპანეთი)
ვესპრემი (უნგრეთი) **32:22 კოლდინგ ელიტი** (დანია)
გოლდ კლუბი (სლოვენია) **23:34 პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი)
სვენდბორგ გუდმე (დანია) **28:33 სიუდად რეალი** (ესპანეთი)
პიკ სეგედი (უნგრეთი) **25:25 ვალიადოლიდი** (ესპანეთი)
პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) **41:31 ფლენსბურგი** (გერმანია)
ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) **31:37 გუმერსბახი** (გერმანია)
შამბერ სავოი (საფრანგეთი) **33:39 კილი** (გერმანია)

ვაუ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის საპლეიოფო პირველ ტურში თითქმის ყველა მატჩი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა, თუმც, ცხადია, ისე როგორ მოხდებოდა, ერთი სენსაცია მაინც რომ არ გამორეულიყო.

მერვედფინალის უმთავრესი შეხვედრა მონპელიეში შედგა და მოულოდნელობაც სწორედ იქ დაფიქსირდა. ჩემპიონთა ლიგის ექსტრიუმფატორების დუელში საფრანგეთის საუკეთესო კლუბმა „მონპელიემ“ ტიტულებით დახუნძლულ „ბარსელონას“ სძლია — ტაიმიც (13:10) და მთელი თამაშიც სამბურთიანი სხვაობით მოუგო. „ბარსას“ მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს ევროპის ჩემპიონ მიშელ გიგუს, რომელმაც ათჯერ გაარღვია კატალონიელთა დაცვა.

თუმც, გვგონია, „ბარსელონასთვის“ სამბურთიანი პასივი საპასუხო შეხვედრაში ძნელი გასაბათილებელი არ იქნება.

ლიგის კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონის, სლოვენიის „პივოვარნა ლაშკოს“ შინაური გამარჯვება მოსალოდნელი კი იყო, მაგრამ მათგან გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ათბურთიან „მოხრჩობას“ არავინ ელოდა და გვეეჭვება, ფლენსბურგელებმა სახეიროანგარიშიანი რევანში გაახერხონ.

ფავორიტთაგან „გუმერსბახს“ არ გასჭირვებია მოსკოვის ოლქის ჩეხოვში გამარჯვება. ეგაა, რუსთა მწვრთნელმა ვლადიმირ მაკსიმოვმა თავისი „დათვების“ მარცხის მთავარ მიზეზად გაუგონრად არაობიექტური მსაჯობა დაასახელა — ჩემი გუნდის მიმართ ასეთი ცუდი არბიტრაჟი არასოდეს მინახავსო.

რვა თამაშიდან მხოლოდ ერთში აღინიშნა ფრე. უნგრულმა „პიკ სეგედმა“ ვალიადოლიდელებს ტაიმი სამი ბურთით კი მოუგო — 13:10, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და ყაიმსლა გამორჩა.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

AFP გუდმენდან

ტალანტ დუშებაევის (მარცხნივ) „სიუდად რეალმა“ ლასე სვენ ჰანსენის „სვენდბორგ გუდმე“ დაამარცხა

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი VI ტური

A ჯგუფი

ბარსელონა 2:0 ვერდერი

1:0 რონალდინიო (13), 2:0 გუდიონსენი (18)

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ინიესტა (ხავი 73), მოტა (ტურამი 62), დეკუ, ჟიული (ესკერო 85), რონალდინიო, გუდიონსენი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

ვერდერი: ვიზე, ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე (ჰუნტი 80), იენსენი, ფრინგსი, დიეგო, ბოროვსკი, კლოზე, უგო ალმეიდა (კლასნიჩი 71)

მწვრთნელი: თომას შაადი

გაფრთხილება: პუიოლი, მოტა, ვომე, ფრინგსი, დიეგო

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

95 824 მაყურებელი

ჩელსი 2:0 ლევსკი

1:0 შევჩენკო (27), 2:0 რაიტ-ფილიპსი (83)

ჩელსი: ილარიო, ჰ. ფერეირა (დიარა 58), ბულარუზი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, ესიენი, ლამპარდი, ბალაკი, რობენი (რაიტ-ფილიპსი 69), შევჩენკო (კალუ 69), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ლევსკი: მიტრევი, მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ს. ანგელოვი, დიმიტროვი (ბალტანოვი 59), ბორიმიროვი, ბარდონი, ერომოიგბე, იოვოვი (კოპრივაროვი 70), დომოვჩისკი (გ. ივანოვი 75)

მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

33 358 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ჩელსი	6	4	1	1	10:4	13
ბარსელონა	6	3	2	1	12:4	11
ვერდერი	6	3	1	2	7:5	10
ლევსკი	6	0	0	6	1:17	0

ბაიერნი 1:1 ინტერი

1:0 მაკაი (62), 1:1 ვიეირა (90)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი (დემიკელისი 72), ოტლი, სალიჰამიჯიჩი (დაისლერი 79), შვაინშტაიგერი, მაკაი (სანტა კრუზი 83), კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ინტერი: ტოლდო, მაიკონი, ანდრეოლი, სამუელი, მაქსველი, ძანეტი, ვიეირა, სოლარი (გროსო 83), ფიგუ (რეკობა 70), მარიანო გონსალესი, იბრაჰიმოვიჩი (კრესპო 46)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ვან ბომელი, სამუელი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

66 000 მაყურებელი

სპორტინგი 1:3 სპარტაკი

0:1 პავლიუჩენკო (7), 0:2 კალინიჩენკო (16), 1:2 ბუენო (31), 1:3 ბოიარინცევი (88)

სპორტინგი: რიკარდუ, მ. გარსია (ველოზუ 28), მონელი, ა. პოლგა, რონი, მუტინიუ, პარედესი (ნანი 60), დიალო, ტელო, ბუენო (ალეშანდრუ 68), ლიდსონი

მწვრთნელი: პაულუ ბენტუ

სპარტაკი: ზუევი, ჟირანეკი, ჟედერი, შტრანცლი, შიშკინი, ბისტროვი (ძიუბა 90), რ. კოვაჩი, ტიტოვი, მოცარტი, კალინიჩენკო (ბოიარინცევი 64), პავლიუჩენკო (ოვუსუ-აბეიე 73)

მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი

გაფრთხილება: პოლგა, ზუევი, ჟედერი

მსაჯი: ნიკოლაი ვოლკარცი (დანია)

37 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ბაიერნი	6	3	3	0	10:3	12
ინტერი	6	3	1	2	5:5	10
სპარტაკი	6	1	2	3	7:11	5
სპორტინგი	6	1	2	3	3:6	5

C ჯგუფი

გალათასარაი 3:2 ლივერპული

0:1 ფაულერი (22), 1:1 ნეჯათი ატეში (24), 2:1 ოკანი (28), 3:1 ილიჩი (79), 3:2 ფაულერი (90)

გალათასარაი: მონდრაგონი, ჯიჰანი, ტომაში, ემრე აშიქი (ტოლგა 46), ერგუნი, საბრი, ინამოტო, ოკანი, კარუსკა (გიუვენი 75), უმით ქარანი, ნეჯათი ატეში (ილიჩი 45)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ლივერპული: დუდეკი, პელტიერი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი, ხ. ალონსო (როკე 84), პალეტა, გუტრიე (ლუის გარსია 66), ბელამი (კრაუჩი 74), ფაულერი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ინამოტო, პენანტი

მსაჯი: ოლეგარიუ ბენკუერესა (პორტუგალია)

23 000 მაყურებელი

პსვ 1:3 ბორდო

0:1 ფობერი (7), 0:2 დალმა (25), 0:3 დარშევილი (37), 1:3 ალექსი (87)

პსვ: გომეში, კრომკამპი, ალექსი, ადო (კლუივერტი 46), რაიციგერი, მენდესი, სიმონსი, კოკუ, აისატი (კულინა 62), ფარფანი, ტარდელი (კონე 46)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ბორდო: რამე, ჟემანი, ენაკარხირე, სიდი, მარანჟი, ფობერი, მავუბა, დუკასი, დალმა (ობერტანი 80), დარშევილი (პერეა 70), ლასლანდი

მწვრთნელი: რიკარდო გომეში

გაფრთხილება: მენდესი, ფობერი, დარშევილი

მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

30 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ლივერპული	6	4	1	1	11:5	13
პსვ	6	3	1	2	6:6	10
ბორდო	6	2	1	3	6:7	7
გალათასარაი	6	1	1	4	7:12	4

D ჯგუფი

რომა 1:0 ვალენსია

1:0 პანუჩი (13)

რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, ტონეტო, კასეტი, დე როსი (პეროტა 75), ვირგა (როსი 83), ტადეი, მასსინი, ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

ვალენსია: ბუტელე, კურო ტორესი, ნავარო, ალბიოლი, სერა, ხოაკინი, უგო ვიანა, პალარდო (კორკოლესი 90), ხ. ლოპესი (რომერო 74), ტავანო, აარონი (ისა 27)

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

გაფრთხილება: სერა

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

45 000 მაყურებელი

ოლიმპიაკოსი 1:1 შახტარი

0:1 მატუზალემი (27), 1:1 კასტილიო (54)

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პანტოსი (კონსტანტინუ 75), ჟევლაკოვი, ჟულიო სეზარი, დომი (გეორგატოსი 83), მარიჩი, სტოლტიდისი, ჯორჯევიჩი, რივალდო, ბაბანგიდა (ბორხა 83), კასტილიო

მწვრთნელი: ლორენსო სერა ფერერი

შახტარი: შუსტი, სრნა, ჩიგრინსკი, კუჩერი, რაცი, ჟადსონი, მატუზალემი (დიულაი 77), ტიმოშჩუკი, ფერნანდინიო (ელანო 81), ბრანდაო, მარიკა (აგაპოვა 66)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ბრანდაო, კუჩერი, შუსტი, რაცი, კონსტანტინუ, მარიჩი

გაძევება: რაცი (90)

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

31 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ვალენსია	6	4	1	1	12:6	13
რომა	6	3	1	2	8:4	10
შახტარი	6	1	3	2	6:11	6
ოლიმპიაკოსი	6	0	3	3	6:11	3



რა უნდა მომხდარიყო, რომ დიდიე დროგბას (მარცხნივ) „ჩელსის“ ვერ მოეგო

AFP ლიანდაგიდან

ეს ბარსელონაა

აუხტები? ქვემოდან გაგიტანს

ბოლნისგამოვლილი „ლევსკი“ უქულოდ დამშვიდობა ლიგას, „ჩელსიმ“ კი პირველი ადგილი აიღო იმ ჯგუფში, სადაც სენსაციის სუნი ტრიალებდა: ჩემპიონთა თასის მფლობელი „ბარსელონა“ ჩარჩენის საფრთხის წინაშე იდგა.

ისე კი ჯობდა, ბრემენელთა ცოცხალი კედელი მდგარიყო გაუნძრევლად — რონალდინიოს პირველი გოლი კედელში მდგომთა უაზროდ ახტომას მოჰყვა. რომ ეგონათ, საჯარიმოს დარტყმისას ბრაზილიელი ბურთს ზემოდან გადაგვავლებსო, ბრემენელთა ფეხებქვეშ გააცურა და დაბალ კუთხეში შეაგდო.

ასე გაიხსნა ანგარიში „კამპ ნოუზე“ და მალევე, ეიდურ გუდიონსენის მეორე გოლმა სენსაციის სუნი საბოლოოდ გააქრო. ის კი ვთქვათ, რომ ამ გოლს ოფსაიდის გვარიანი სუნი უდიოდა. მაგრამ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მით უმეტეს, რომ „ბარსელონამ“ ალალად დაიმსახურა მოგება და თუ მაინცდამაინც გასამართლებაზე მიდგა საქმე, დიდი საყვედური ლუდოვიკ ჟიულის ეკუთვნის, მეკარის ბაქნიდან ცარიელი კარისთვის აცილებისთვის.

მეორე ჯგუფში „ბაიერნს“ და „ინტერს“ აქამდეც განაღდებული ჰქონდათ მერვედფინალში გასვლა და მშვიდი ფრე გააგორეს.

ოლივერ კანისთავის ეს მეასე მატჩი იყო ჩემპიონთა თასზე და, რასაკვირველია, კარის მშრალად შენახვასაც ეშურებოდა, მით უფრო, რომ „ინტერს“ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი სკამზენ ეჯდა. მაგრამ ასაკიან მეკარეს სულ ერთი წუთი დააკლდა, იქამდე კი, პირველი ტაიმის მიწურულს, ძელიც დეხმარა მარიანო გონსალესის დარტყმის მერე.

„სპორტინგისა“ და „სპარტაკის“ უეფას თასზე გადამსვლელ მატჩში კი რუსებმა ლისაბონი აიღეს.

მოულოდნელი შედეგი კი იყო, მაგრამ სტატისტიკას თუ ჩავუღრმავდებით, სპორტინგელები შინ ბოლო ხანს უსუსურად თამაშობენ: წინა ხუთი საშინაო თამაშიდან ოთხი წაეგოთ. ახლა მეხუთე მიაყოლეს და წვალებით მონაგარი ხუთი ქულით ბოლო ადგილზე დარჩნენ.

მესამე ჯგუფიდან უკვე გასულმა „ლივერპულმა“ თავი არ შეაკლა მესამეობისთვის მებრძოლ „გალათასარაის“. თუმცა თურქთა მოგებას ფასი არ ჰქონდა, რაკი არც პსვ-მ მოიკლა თავი „ბორდოსთან“ ჭიდაბით და ფრანგებს უეფას თასისკენ გზა დაულოცა.

მსგავსი რამ მოხდა რომშიც, სადაც კრისტიან პანუჩიმ სწრაფად გაუტანა „ვალენსიას“ და ეს გოლი სავსებით საკმარისი იყო, „რომა“ და „ვალენსია“ ხელიხელჩაკიდებული რომ გასულიყვნენ მომდევნო ეტაპზე. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, ბრძოლა არ იყო, რაკი ესპანელებს მონდომება არ დაუკლიათ და მეორე ტაიმში კარგი მომენტებიც ჰქონდათ.

ხოლო „შახტარმა“ პირეოსში ნათამაშები ფრით უეფას თასზე გააღწია.

კოტე კეკელია

ტონელის „სპორტინგი“ სახალხოდ შერცხვა

AFP ლიანდაგიდან

ინგლისი

პრემიერლიგა

გადადებული მატჩები

ტოტენჰემი 2:1 მიდლსბრო

ჩარლტონი 1:0 ბლეკბერნი

I ლიგა. XX ტური

სკანთორპი 1:1 ტრანმერი

ბლეკპული 2:1 ჩელტენჰემი

ბორნმუთი 2:0 ნოტინგემი

ბრენტფორდი 0:4 დონკასტერი

ბრაიტონი 3:2 სუონსი

ბრისტოლი 1:0 კარლაილი

ლეიტონი 1:2 ბრედფორდი

მილუოლი 0:0 ჰადერსფილდი

ოლდჰემი 1:0 ძრიუ

პორტ ვეილი 2:0 ჯილინგემი

II ლიგა. XX ტური

ბარნეტი 0:1 გრიმსბი

ბერი 1:2 უოლსოლი

ჩესტერი 3:1 ბოსტონი

ჰერეფორდი 0:0 პიტერბრო

ლინკოლნი 1:0 როვერსი

მაკლსფილდი 1:0 როჩდეილი

მენსფილდი 2:0 სუინდონი

დონსი 2:0 სტოკპორტი

ნოტსი 0:1 ჰარტლპული

ტორკი 1:1 რეძსემი

უიკომბი 1:0 დარლინგტონი

კონფერენსლიგა. XXI ტური

ალდერშოტი — ძროული

გადაიდო

შოტლანდია

მეორე დივიზიონი. გადადებული მატჩი

ფორფარი 0:2 სტირლინგი

მესამე დივიზიონი. გადადებული მატჩი

ისტ სტირლინგი — ბერვიკი *გადაიდო*

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია nttp://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00